

# Arabesque

BALLET MAGAZINE

არაბესკი მუსონლი ბალეტზე

№1(23)'14





საგარეო ურთიერთობების მინისტრის განყოფილება



ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო თბილისში



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტი



ქალაქ თბილისის საკრებულო



თბილისის კონსერვატორიის უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტი

# 23.05.2014

თბილისის საკონცერტო დარბაზი  
TBILISI CONCERT HALL

# ჯორჯ ბალანჩინი 110 George Balanchine

## პრემიერა PREMIERE Concerto Barocco

გენერალური სპონსორი: აშშ-ის საელჩო, თბილისი PRINCIPAL SPONSOR: U.S. EMBASSY, TBILISI

მონაწილეები: მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი ნინო ანანიავილის ხელმძღვანელობით და თეატრის ორკესტრი  
FEATURING: WORLD BALLET STARS, TBILISI OPERA AND BALLET THEATRE BALLET COMPANY UNDER THE MANAGEMENT OF NINA ANANIASHVILI AND THE THEATRE'S ORCHESTRA

დირიჟორი: დავით მუქერია CONDUCTOR: DAVID MUKERIA

# 20:00



გენერალური სპონსორი GENERAL SPONSOR



ქართული ბალეტის მეგობართა  
საზოგადოების წევრები  
LIST OF THE MEMBERS OF FRIENDS  
OF THE GEORGIAN BALLET

სეზონი 2013/2014 SEASON

მერილ და ჯანეტ ბლექმენი	მძორ GOLD COUPLE	MERRILL AND JEANNETTE BLACKMAN
ბრიჯიტ ბრინკი და ნიკ ჰიგინსი	მძორ GOLD COUPLE	BRIDGET BRINK AND NICHOLAS HIGGINS
გიორგი ჭირაკაძე და სარა ვილიამსონი	მძორ GOLD COUPLE	GEORGE CHIRAKADZE AND SARAH WILLIAMSON
ნელ და მიხელ დანი	მძორ GOLD COUPLE	NEIL AND MICHELE DUNN
ანდრეას ჰეიდინგსფელდერი	მძორ GOLD COUPLE	ANDREAS HEIDINGSFELDER
ჰანს და სონია ჰორბახი	მძორ GOLD COUPLE	HANS AND SONJA HORBACH
ტოშიო და ჰარუე კაიტანი	მძორ GOLD COUPLE	TOSHIO AND HARUE KAITANI
მასაიოში და ჯუნკო კამოჰარა	მძორ GOLD COUPLE	MASAYOSHI AND JUNKO KAMOHARA
რიჩარდ ნორლანდი და მერი ჰარტნეტი	მძორ GOLD COUPLE	RICHARD NORLAND AND MARY HARTNETT
ნიკ და კარო ვილკესი	მძორ GOLD COUPLE	NICK AND CARO WILKES
ფილიპ ლიმეტ დევეზი	მძორ GOLD INDIVIDUAL	PHILIPPE LIMET DEWEZ
ანა დიკ	მძორ GOLD INDIVIDUAL	ANNA DIK
კაროლინა ფორესტიერი	მძორ GOLD INDIVIDUAL	CAROLINE FORESTIER
მაკა გოტირიძე	მძორ GOLD INDIVIDUAL	MAKA GOTSIRIDZE
ივან იესტრბი, ჩეხეთის ელჩი	მძორ GOLD INDIVIDUAL	IVAN JESTRÁB, Czech Ambassador
ვილიამ ლაჰუე	მძორ GOLD INDIVIDUAL	WILLIAM LAHUE
დავით ლაურენს ლი	მძორ GOLD INDIVIDUAL	DAVID LAWRENCE LEE
მარტა ლუბეკი	მძორ GOLD INDIVIDUAL	MARTA LUBECK
არიანა ბრიგანტი და ჯოაჰიმ გაუბე	მძობლი SILVER COUPLE	ARIANNA BRIGANTI AND JOACHIM GAUBE
ორტვინ ჰენიგი და მაია ფრანკ-ჰენიგი	მძობლი SILVER COUPLE	ORTWIN HENNIG AND MAYA FRANK-HENNIG
ტობიას თიბერგი და ფლორიან ფუკნერი	მძობლი SILVER COUPLE	TOBIAS THYBERG AND FLORIAN FÜCKNER
ალენ და ტომ ტუნი, დსი	მძობლი SILVER COUPLE	ALENE AND TOM TUNNY, DSI
პრიტი და პირჯო ტურკი	მძობლი SILVER COUPLE	PRITT AND PIRJO TURK
ემი ანტონიადეს-აუსტერმილერი	მძობლი SILVER INDIVIDUAL	AMY ANTONIADES-AUSTERMILLER
კარლოს ასფორა	მძობლი SILVER INDIVIDUAL	CARLOS A. ASFORA
პლამენ ბონჩევი	მძობლი SILVER INDIVIDUAL	PLAMEN BONCHEV
მიხელ დეროჰანესიანი	მძობლი SILVER INDIVIDUAL	MICHELLE DEROHANESIAN
ელენა დიმიტროვა	მძობლი SILVER INDIVIDUAL	ELENA DIMITROVA
ნანა დვალისი	მძობლი SILVER INDIVIDUAL	NANA DVALI
ლენა კილადე	მძობლი SILVER INDIVIDUAL	LENA KILADZE
პიერე ორლოფი	მძობლი SILVER INDIVIDUAL	PIERRE ORLOFF
ლოლა პეტროვა	მძობლი SILVER INDIVIDUAL	LOLA PETROVA
ანთონი რაჩევი	მძობლი SILVER INDIVIDUAL	ANTHONY RACHEV
მაია შარაშიძე	მძობლი SILVER INDIVIDUAL	MAIA SHARASHIDZE
ნინა ტარასაშვილი	მძობლი SILVER INDIVIDUAL	NINA TARASSASHVILI
ჰიროკი ტოკუნაგა	მძობლი SILVER INDIVIDUAL	HIROKI TOKUNAGA
იოჰანეს ვერნერი	მძობლი SILVER INDIVIDUAL	JOHANNES WERNER

# მეგობარი ბალეტის

ქართული საზოგადოება

გთხოვთ განვერიანდეთ ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებაში, რათა დაეხმაროთ ქართულ საბალეტო დასს, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ მსოფლიოში ცნობილი ბალერინა ნინო ანანიასვილი.

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების დამფუძნებლები არიან: **სილვა აკოპიანი, ლია მაჭავარიანი, ელისაბედ საღარაძე, ირინა ხომერიკი** და **ლილი ჰაუფი**. საპატიო დამფუძნებლები არიან: **მეიდა მაკლარენი** და **ინა გუდავაძე**.

მმართველობითი საბჭოს თანათავმჯდომარე არის: **ჯანეტ ბლექმენი**, საპატიო მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე: **მარიელა ს. ტეფტი**.

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების მხარდაჭერის თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **დავით კინწურაშვილი**.

Please join us as members of *Friends of the Georgian Ballet* and help us to support the revitalization of this venerable ballet company under the artistic directorship of world-renowned ballerina, Nina Ananiashvili

Founders of *Friends of the Georgian Ballet* are: **Silva Akopian, Lily Hauf, Irina Khomeriki, Lia Machavariani, and Elisabed Sagaradze**. Honorary founders are: Maida MacLaren and Inna Gudavadze.

Member of the Governing Board is: Co-Chairmen **Jeanette Blackman**, Honorary Chairman is: **Mariella C. Tefft**.

*Friends of the Georgian Ballet* is supported by Artistic Director of the Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre **David Kintsurashvili**.

## Friend of THE GEORGIAN BALLET



დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დარეკოთ:  
For additional information, please call:

(995 32) 235 75 03




# Arabesque

No1(23) 2014

Ballet Magazine

„არაბესკი“ მუსიკალური ბალეტის



ზაპარია შალიაშვილის სახელობის  
თბილისის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო  
თეატრის საბალეტო დასის ჟურნალი

MAGAZINE ABOUT THE BALLET COMPANY OF THE TBILISI  
Z. PALIASHVILI OPERA AND BALLET PROFESSIONAL STATE THEATRE

გამოდის წელიწადში ორჯერ

Issued twice a year

თეატრის სამხატვრო  
ხელმძღვანელი  
დავით კინძურაშვილი

Artistic Manager  
of the Theatre  
DAVID KINTSURASHVILI

საბალეტო დასის  
ხელმძღვანელი  
ნინო ანანიასვილი

Artistic Director of  
the Ballet company  
NINA ANANIASHVILI

მთავარი რედაქტორი  
ილია თავაბერიძე

Editor-in-Chief  
ILIA TAVBERIDZE

ინგლისური ტექსტების  
რედაქტორი

Editor of the English  
language content

თორნიკე ხომერიკი

TORNIKE KHOMERIKI

დიზაინი

Design by

ბესიკ დანელია

BESIK DANELIA

ფოტოგრაფი

Photographer

ლადო ვაჩნაძე

LADO VACHNADZE

გარეკანის პირველ გვერდზე: ჯორჯ ბალანჩინი „Davidsbündlertänze“ რეპეტიციამ.

გარეკანის მეოთხე გვერდზე: სოფან ფარელი, „აპოლონ მუსაგეტი“.

პაულ კოლნიკის ფოტოები

First cover page: George Balanchine rehearsing *Davidsbündlertänze*.

Fourth cover page: Suzanne Farrell in *Apollo*. Photographs by Paul Kolnik

წიგნებში გამოყენებულია პაულ კოლნიკის, ნინა ალოვერტის, ბონდო დვალისვილის,  
ლადო ვაჩნაძის, თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის,  
ნინო ანანიასვილის, რობერტო ბოლეს, ბალანჩინივადეების ოჯახის  
პირადი არქივის ფოტოები.

This magazine issue features photographs from the archives of Paul Kolnik, Nina Alovert,  
Bondo Dvalishvili, Lado Vachnadze, the State Museum of Theatre, Cinema, Music and  
Choreography, Nina Ananiashvili, Roberto Bolle, and the Balanchivadze family.

დაბეჭდა შპს „სეზანა“  
Printed by "Sezanne Printing House" Ltd

თბილისი 0108, რუსთაველის გამზირი 25  
25, RUSTAVELI AVE. 0108, TBILISI, GEORGIA

ტელ./TEL: +995 32 235 75 03

ფირმა: 300

UDC (უბკ) 792 - 6  
A - 70

ISSN 1512-3294

www.opera.ge

ყოველთვის, როცა საკუთარ ბალეტებზე ეკითხებოდნენ ბალანჩინი აღნიშნავდა, რომ ის მათ მომავალზე არ ფიქრობდა – „საბალეტო წარმოდგენა დროსა და სივრცეში მოძრაობაა, ცოცხალი მომენტი. სათბურის ყვავილის მსგავსად, ის იფურჩქნება, შემდეგ კი კვდება“. მაგრამ, ასე არ მოხდა. მისი გარდაცვალებიდან ოცდაათი წლის შემდეგაც კი მისტერ ბის ბალეტები მსოფლიოს სხვადასხვა თეატრების სცენებზე იდგმება. როგორც ბალანჩინის ფონდის დირექტორი ელენ სორინი „არაბესკთან“ ინტერვიუში აღნიშნავს წელიწადში ფონდი დაახლოებით ორასამდე ბალეტის დადგმაზე გასცემს ლიცენზიას. მათ შორის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრიცაა, სადაც წელს ბალანჩინის საიუბილეოდ მისი კიდევ ერთი შედევრი – „Concerto Barocco“ დაიდგმება. პრემიერა თბილისში, ბალანჩინის საიუბილეო დღეების ფარგლებში ჩაივლის.

პრემიერის გარდა თბილისში საშუალება ექნებათ ნახონ ცნობილი ფოტოგრაფის პაულ კოლნიკის გამოფენა. კოლნიკი წლების მანძილზე თანამშრომლობდა ბალანჩინთან და „ნიუ იორკ სითი ბალეტთან“. იგი სიამოვნებით დაგვთანხმდა ჩვენი მკითხველისთვის ამ თანამშრომლობის ისტორიაზე მოეთხრო და საკუთარი ფოტოების დაბეჭდვის უფლებაც მოგვცა. პაულ კოლნიკი ამბობს, რომ ბალანჩინთან მიღებული შთაბეჭდილება ცხოვრების ბოლომდე ემახსოვრება.

ასეთ მოვლენას მართლაც შეუძლია შეცვალოს ადამიანის ცხოვრება და ბედისწერასავით იქცეს. ზოგჯერ თურმე ერთ ფოტოსაც შეუძლია იგივე გააკეთოს. 80-იანი წლების ბოლოს ერთ ქართულ გაზეთში ბალანჩინზე „თაიმსიდან“ გადმობეჭდილი წერილი წავიკითხე, რომელსაც მისი ფოტო ერთვოდა. ქორეოგრაფი რეპეტიციამე მოცეკვავეს მოძრაობას აჩვენებს. მოგვიანებით გავიგე, რომ ეს „აგონის“ რეპეტიცია იყო – მოცეკვავე კი არტურ მიტჩელი, მისი მოსწავლე, სოლისტი და ახლა ჰარლემის ბალეტის დამფუძნებელი. საოცრად მეტყველმა ამ ფოტომ გადაამწყვეტინა უფრო მეტი გამეგო და შემეგროვებინა ბალანჩინზე. ბევრ რამეს აქედან, ჟურნალის ამ ნომერში, თქვენც გავიზიარებთ.

ილია თავაბერიძე

Whenever asked about his ballets, Balanchine would say thinking about their future was not on his mind. A ballet performance is movement in time and space, a living moment, he would say, adding that, like a greenhouse flower, they would blossom, only to die with time. But this is not how it has happened. Thirty years following his passing away, Mr B's ballets are being staged at venues around the world, with Director of The Balanchine Trust Ellen Sorrin telling us in her interview the trust licenses roughly two hundred ballets every year. Tbilisi Opera and Ballet State Theatre is among the companies who pursue these licenses, with another of Balanchine masterpieces *Concerto Barocco* set to premiere in Tbilisi during the Balanchine Anniversary Days.

Beside the premiere – and the rest of the anniversary evening – audience will also have an opportunity to see exhibition of works by well-known photographer Paul Kolnik, who spent years collaborating with Balanchine and the New York City Ballet. He agreed with pleasure to talk to us about this collaboration and kindly granted us the permission to print his photographs. Mr Kolnik said he would forever remember the experience of working with Balanchine.

Memories like these can change a person's life and become their destiny. Sometimes a single photograph can do the same. I can remember reading an article in the 1980s about Balanchine – printed in a Georgian newspaper via *The Times* – which also featured a picture of him showing a movement to his dancer. I later learned the photo was from a rehearsal of *Agon*, and the dancer was Arthur Mitchell – his pupil, soloist and now co-founder of the Dance Theatre of Harlem. It was this incredibly expressive picture that set me on the course to learn more about Balanchine, and in this magazine issue I will be sharing with you many of the stories I have gathered.

ILIA TAVBERIDZE



თარიღი · DATE

ნინო ანანიაშვილი · NINA ANANIASHVILI

04

მისტერ ბი, კეთილი იყოს თქვენი  
მობრძანება სამშობლოში!  
Welcome back home, Mr B!

ინტერვიუ · INTERVIEW

06

რიჩარდ ნორლანდი: „ბალანჩინი ამერიკისა  
და საქართველოს ურთიერთობის  
სიმბოლოა“  
Richard Norland: “Balanchine is a symbol of  
ties between Georgia and the U.S.”

სუმარი · GUEST

09

პაულ კოლნიკი: „ეს შთაბეჭდილება  
ცხოვრების ბოლომდე მემახსოვრება!“  
Paul Kolnik: “I will cherish the experience as  
long as I live”

სუმარი · GUEST

16

ელენ სორინი: „ყოველ წელს ბალანჩინის  
ორასზე მეტი ბალეტის ლიცენზიას გავცემთ“  
Ellen Sorrin: “We license over two hundred  
Balanchine ballets every year”

სუმარი · GUEST

18

ანდრის ლიეპა: „ვოცნებობდი მეცეკვა  
„აპოლონ მუსაგეტი“  
Andris Liepa: “It was my dream to dance  
*Apollo*”

ემსკლუზივი · EXCLUSIVE

ირინა ბაგაური · IRINA BAGAURI

24

ბოლე ცეკვავს ღმერთს  
Bolle dances a God

28

ბალანჩივაძეები  
The Balanchivadzes

33

ბალანჩივაძეების საგვარეულო არქივი  
The Balanchivadze family archive

37

შეხვედრები საქართველოში  
Meetings in Georgia



41

ჯორჯ ბალანჩინი: „ბედნიერი ვარ, რომ ვნახე საქართველო!“  
George Balanchine: “Happy to see Georgia”

43

ჯორჯ ბალანჩინი: „მუსიკა ცეკვაა, ცეკვა-მუსიკა“  
George Balanchine: “Music is dancing, and dancing is music”

45

Ballet News

48

დასი  
The Company

ნინო ანანიაშვილი:  
NINA ANANIASHVILI:

„მისტერ ბი, კეთილი იყოს  
თქვენი მობრძანება სამშობლოში!“  
“Welcome back home, Mr. B!”

ჯორჯ ბალანჩინის შემოქმედებასთან ყოველი შეხვედრა ბედნიერებაა. სიზმარავით მასხოვს მისი ბრწყინვალე New York City Ballet-ის 1972 წლის გასტროლები თბილისში, როდესაც მამამ ოცნება ამისრულა და რაღაც აუხსნელი სასწაულით ერთ-ერთი სპექტაკლის ბილეთები მოიპოვა (სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ, რომ ეს გმირული აქტი დავახასიათო).


ენით აუწერელი ბედნიერება იყო, რომ მე და ანდრის ლიეპას ნება დაგვრთეს მიგველო ბალანჩინის დასის მოწვევა და 1988 წლის იანვარი და თებერვალი NYCB-სთან გაგვეტარებინა სამოქალაქო ტანისამოსში გადაცმულ „ხელოვნებათმცოდნეების“ გარეშე. „რაიმონდას ვარიაციები“, „სიმფონია დო მაჟორი“, „აპოლონი“ და თავისუფლების დამატრობელი შეგრძნება – ეს იყო ჩვენი მონაპოვარი.

It is a real happiness to perform ballets of George Balanchine or to watch them. I remember like a dream 1972 tour of his brilliant New York City Ballet here in Tbilisi. Thanks to some inexplicable miracle my father managed (I can find no other word to describe this heroic act!) to get tickets for one of their shows.

It was another moment of unearthly joy when Andris Liepa and I were granted the right to accept the invitation by the Balanchine company and spend January and February of 1988 with NYCB (without being accompanied by “art critics” in civilian!). Raymonda Variations, Symphony in C, Apollo and the intoxicating sense of freedom – that was our achievement.

Had Balanchine not passed away in 1983, I would not have returned to Moscow.

In 1997 and 1998, as a result of a “secret operation” by my humble self and Alexei Fadeychev, the Bolshoi Ballet mounted premieres of Mozartiana, Agon and Symphony





ბალანჩინი რომ ცოცხალი ყოფილიყო, მე მოსკოვში არ დავბრუნდებოდი.

1997-1998 წლებში დიდ თეატრში ჩემი და ალექსეი ფადეეჩევის გასაიდუმლოებულ-ლი ოპერაციის შედეგად „მოცარტიანას“, „აგონის“ და „სიმფონია დო მაჟორის“ პრემიერები შედგა. მთელ დასს ისე უბრ-წყინავდა თვალები, გეგონებოდა, რომ მოცეკვავეები სახელგანთქმულ სცენაზე პირველად გამოვიდნენო. კრიტიკამ და მაცურებელმა სულ სხვა თვალთ შეხედეს დიდი თეატრის ვარსკვლავებსაც და კორ-დებალეტსაც. ტრიუმფის მთავარი მიზეზი კი, რა თქმა უნდა ბალანჩინის ქორეოგრა-ფია და სიუზან ფარელის და ჯონ ტარასის მიერ ჩატარებული სამუშაო იყო.

თბილისში დაბრუნებისთანავე დავიწყე ბალანჩინის ბალეტების ლიცენზიების შექმნა, იმიტომ რომ მისი ქორეოგრაფია მოცეკვავეებს მართლაც უკეთესს ხდის. ბალანჩინის ნაწარმოებები მოცეკვავის-თვის იგივეა, რაც თანამედროვე არქი-ტექტორისთვის კლასიკური ბერძნული არქიტექტურა – შევიძლია მას ეკამათო, შევიძლია დაეთანხმო, მაგრამ მისი არ-ცოდნა შენივე ნამუშევარს არააქტუალურად აქცევს. ბალანჩინის ქორეოგრაფია ის უნივერსალური ენაა, რომლის შესწავლის გარეშე შეუძლებელია XX და XXI საუკუნის ბალეტების ცეკვა.

ჩვენ რეპერტუარში შემავალ ბალანჩინის 10 ბალეტს – „სერენადა“, „აპოლონ მუსა-გეტი“, „სიმფონიური ვესტერნი“, „მოცარ-ტიანა“, „ჩაკონა“, „დონიცეტი ვარიაციები“, „ტარანტელა“, „ბუგაკუ“, ჩაიკოვსკი პა-დე დე“ და „Duo Concertant“ – უახლოეს მომავალში „Concerto Barocco“ დაემა-ტება. ეს შეერთებული შტატების საელჩოს განსაკუთრებული მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი, რისთვისაც მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ელჩს, მის აღმატე-ბულებას ბ-ნ რიჩარდ ბ. ნორლანდს.

მათ გახადეს შესაძლებელი, რომ თბი-ლისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასმა და ქართველმა მაცურე-ბელმა კიდევ ერთხელ განაცხადონ: „მის-ტერ ბი, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სამშობლოში!“

in C. Eyes of all dancers were shining like it was their first appearance on the famous stage. The critics and the audience saw the Bolshoi stars and the corps de ballet alike from a very different angle, while the main cause of the triumph was obviously Balanchine choreography and the relentless work carried out by Suzanne Farrell and John Taras.

Upon my return to Tbilisi I set out to receive licenses for Balanchine ballets because his choreography truly makes dancers better. His works are for them what the classical Greek architecture is for modern architects – you can argue against or agree with, but ignorance towards it will make your work irrelevant. Balanchine choreography is the universal language you can not dance the 20th and 21st century ballets without.

Ten Balanchine ballets of our repertory – Serenade, Apollo, Western Symphony, Mozartiana, Chaconne, Donizetti Variations, Tarantella, Bugaku, Tchaikovsky pas de deux and Duo Concertant – will be soon joined by Concerto Barocco. This has been made possible thanks to very generous support by the United States Embassy to Georgia, for which I would like to express my gratitude to His Excellency the Ambassador Richard B. Norland.

Their work has enabled the State Ballet of Georgia and the Georgian audience to say again: “Welcome back home, Mr. B!”

ნინო ანანიაშვილი, ანდრის ლიეპა.  
„აპოლონ მუსაგეტი“. 1988 წ. „ნიუ იორკ სიტი  
ბალეო“. პაულ კოლნიკის ფოტო

NINA ANANIASHVILI, ANDRIS LIEPA. APOLLO.  
1988. NEW YORK CITY BALLET.  
PHOTO BY PAUL KOLNIK

ნინო ანანიაშვილი, ანჯელ კორელა.  
„მოცარტიანა“. ამერიკის ბალეტის  
თეატრი. ჰიდემი სეტოს ფოტო

NINA ANANIASHVILI, ANGEL CORELLA.  
MOZARTIANA. AMERICAN BALLET THEATRE.  
PHOTO BY HIDEMI SETO



რიჩარდ ნორლანდი:  
RICHARD NORLAND:

# „ბალანჩინი ამერიკისა და საქართველოს ურთიერთობის სიმბოლოა“ “Balanchine is a symbol of ties between Georgia and the U.S.”



ჯორჯ ბალანჩინის დაბადებიდან 110 წლის იუბილე 2014 წლის მაისში საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით ეწყობა. „არაბესკის“ შვიტხზვზვს შვირთეზუღი შტატეზის ეღრი, მისი აღშატეზუღეზა რიჩარდ ნორლანდი ჰასუხობს.

GEORGE BALANCHINE'S 110<sup>TH</sup> ANNIVERSARY IS CELEBRATED IN MAY 2014 WITH THE SUPPORT OF THE EMBASSY OF THE UNITED STATES IN GEORGIA. ARABESQUE SPOKE WITH H.E. THE AMBASSADOR RICHARD NORLAND ABOUT THE OCCASION.

გენიალური ქორეოგრაფის ჯორჯ ბალანჩინის 110 წლის იუბილე საქართველოში ამერიკის საელჩოს მიერ საკმაოდ მასშტაბური პროექტებით აღინიშნება. გთხოვთ რამდენიმე სიტყვით გვითხრათ მათ შესახებ.

2014 წლის ბალანჩინის წლად გამოცხადება ჩვენთვის დიდად სასიამოვნოა. საზეიმო ღონისძიებები ახალი წლისთვის ბალანჩინის თემაზე შექმნილი კალენდრის გამოცემით დავიწყეთ და ელზაბეთ კენდელის ახალი წიგნის – „ბალანჩინი და დაკარგული მუზა“ – ქართულად თარგმნისა და გამოცემის დაფინანსებით გავაგრძელებთ. ეს ბიოგრაფია ჯორჯ ბალანჩინის და მისი ბავშვობის მეგობრის, გამორჩეული ბალერინას – ლიდია ივანოვას ცხოვრების აღრიხდეღ წლებს შეეხება. რა თქმა უნდა, საიუბილეო ღონისძიებებში აღსანიშნავია გაღა-კონცერტი, რომელიც ამ მოვლენის კულმინაცია იქნება და რომელშიც წარმოდგენილი იქნება ბალანჩინის ერთ-ერთი შედევრის „Concerto Barocco“-ს პრემიერა. ჩვენ ასევე ვაფინანსებთ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დარბაზების აღდგენას, რომელთაგან ერთ-ერთს ბალანჩინის სახელი მიენიჭება.

საიუბილეო ღონისძიებებში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს გაღა-კონცერტი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის და მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავების მონაწილეობით. ოპერის თეატრში მისტერ ბის კიდევ ერთი ბალეტის პრემიერა შედგება. რა მნიშვნელობას ანიჭებთ ბალანჩინის იუბილის აღნიშვნას ქართულ-ამერიკული ურთიერთობების კონტექსტში?

The United States Embassy in Georgia is celebrating the 110th anniversary of George Balanchine, the genius of choreography, with quite big projects. Could you tell us more about them?

It's been a great pleasure for us to announce 2014 as the year of George Balanchine. We started the celebration with publishing a Balanchine-themed calendar for the New Year, and we continued by sponsoring the ongoing translation and publication in Georgian of a new book by Elizabeth Kendall called *Balanchine and the Lost Muse*. This biography presents the early life of George Balanchine and his childhood friend, an extraordinary ballerina Lidia Ivanova. And, of course, the celebration will culminate in a gala performance featuring the premiere of Balanchine's masterpiece *Concerto Barocco*. We are also funding restoration of the halls at the Georgian State Museum of Theatre, Music, Cinema and Choreography, including one named in Balanchine's honor.

One of the key events of the anniversary celebrations is scheduled to be a gala concert featuring the Tbilisi Opera and Ballet Theatre Ballet Company and international ballet stars. How important is this celebration for Georgian-American relations?

George Balanchine, whose family roots were in Georgia, settled in the United States in 1933, and became one of the most famous choreographers of the 20th century. America embraced his talent, and his ballets spread from New York City to different parts of the United States. Even now, a great number of American ballet theaters are proud to

ჯორჯ ბალანჩინი, რომლის ოჯახური ფესვები საქართველოშია, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1933 წელს დაემკვიდრა და მეოცე საუკუნის ერთ-ერთი სახელგანთქმული ქორეოგრაფი გახდა. ამერიკამ გულითადად მიიღო მისი ტალანტი, მისი ბალეტები კი ნიუ-იორკიდან შტატების სხვა მხარეებში გავრცელდა. ახლაც კი, ამერიკის საბალეტო თეატრებიდან ბევრისთვის მისტერ ბის ქორეოგრაფიის მათ რეპერტუარში ჩასმა დიდი პატივია. ჯორჯ ბალანჩინი ქართულ და ამერიკულ კულტურას შორის ახლო კავშირების მშვენიერი მაგალითია, მისი ისტორია კი ქართული დიასპორის გავლენას ასახავს. მან საოცრად დიდი მემკვიდრეობა დატოვა და ჩემთვის, როგორც ელჩისთვის, ის დიდი სიმბოლოა შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობისა, რომელიც მომავალი წლების განმავლობაში კიდევ უფრო დიდ განვითარებას ჰპოვებს.

**ბალანჩინის იუბილე არ არის თბილისის ოპერის თეატრთან ამერიკის საელჩოს თანამშრომლობის ერთადერთი პროექტი. კლასიკური ხელოვნებისა და განსაკუთრებით საბალეტო ხელოვნებისადმი თქვენი ყურადღება გამორჩეულია. რით არის ეს განპირობებული?**

შეერთებული შტატების საელჩოს ერთ-ერთი მიზანი ქართველების ინფორმირებაა ამერიკული კულტურის და საზოგადოების შესახებ. ვცდილობთ, მხარი დავუჭიროთ და გავატაროთ პროგრამები, რომლებიც ხაზს უსვამს ამერიკული კინოს, ფერწე-

include Mr. B's choreography in their current repertoires. George Balanchine is a wonderful example of the close ties between Georgian and American cultures, and his story speaks to the influence of Georgia's diaspora. He left a tremendous legacy, and for me as Ambassador, he is a great symbol of U.S.-Georgia relations that will develop even further in years to come.

**The anniversary is not the only example of your cooperation with the theatre. The embassy's attention to classical art – and especially ballet – is very notable. What is the reason for this focus?**

One of the U.S. Embassy's goals is to inform Georgians about aspects of American culture and society. We try to support and implement programs highlighting the diversity of American film, art, literature, music, and dance. Balanchine's contribution to the establishment of American contemporary ballet on the international art scene is indispensable. I believe the people of Georgia and the United States can and should be very proud to share Mr. B's legacy. We are very pleased to support Balanchine's anniversary celebrations together with Nina Ananiashvili, the world-famous prima ballerina who has done so much to showcase Balanchine's extensive and diverse repertoire on the stage of the Tbilisi Ballet Theater. More than once, I have enjoyed watching Nina's amazing performances, and I look forward to seeing more. I really appreciate that Nina is generously passing her knowledge onto young Georgian ballet dancers. We all remember that one of Balanchine's greatest accomplishments is the New York City Ballet School, where his students continue to teach young people the art of Mr. B's craft.

აშშ ელჩი რიჩარდ ნორლანდი და ნინო ანანიაშვილი ბალანჩინის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენსიაზე. 2014 წლის 22 იანვარი

THE U.S. AMBASSADOR RICHARD NORLAND AND NINA ANANIASHVILI AT A PRESS CONFERENCE ON THE BALANCHINE ANNIVERSARY. JANUARY 22, 2014



რის, ლიტერატურის, მუსიკის და ცეკვის მრავალფეროვნებას. უდიდესია ბალანჩინის წვლილი ამერიკული თანამედროვე ბალეტის საერთაშორისო ხელოვნების სცენაზე დამკვიდრებაში. ვფიქრობ, რომ საქართველოსა და შეერთებული შტატების ხალხებს შეუძლიათ და უნდა ამაყობდნენ მისტერ ბის მემკვიდრეობით. ჩვენთვის დიდად სასიამოვნოა ბალანჩინის იუბილეს აღნიშვნა ნინო ანანიაშვილთან, მსოფლიოში ცნობილ პრიმა-ბალერინასთან ერთად, რომელსაც ბევრი აქვს გაკეთებული თბილისის თეატრში ბალანჩინის ფართო და მრავალფეროვანი რეპერტუარის ჩვენებისთვის. არაერთხელ მიმიღია სიამოვნება ნინოს საოცარი ცეკვისაგან და დიდი ინტერესით ველი უფრო მეტის ხილვას. ვაფასებ, რომ ნინო ხელგაშლილად უზიარებს მის ცოდნას ბალეტის ახალგაზრდა ქართველ მოცეკვავეებს. ყველას გვახსოვს, რომ ბალანჩინის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა „ნიუ-იორკ სითი ბალეს“ სკოლის დაარსებაა, რომელშიც მისი მოსწავლეები ახალგაზრდებთან მისტერ ბის საბალეტო ტექნიკის სწავლებას განაგრძობენ.



**Balanchine is an international phenomenon and, as a founder of the American ballet, he is especially celebrated in the United States. What are your personal thoughts about him and his choreographic masterpieces?**



**ჯორჯ ბალანჩინი ქართულ და ამერიკულ კულტურას შორის ახლო კავშირების მშვენიერი მაგალითია.**

George Balanchine is a wonderful example of the close ties between Georgian and American cultures.

**ბალანჩინი მსოფლიო მოვლენაა, მაგრამ როგორც ამერიკული ბალეტის ფუძემდებელი მას განსაკუთრებულ პატივს სცემენ ამერიკაში. როგორია თქვენი პირადი დამოკიდებულება მისი პიროვნებისა და ქორეოგრაფიული შედეგებისადმი.**

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ახალი წლისთვის ბალანჩინის თემაზე შექმნილი კალენდარი გამოვეცით. უნდა ვთქვა, რომ კალენდრისთვის ფოტოების ამორჩევა ჩემთვის მეტად სასიამოვნო პროცესი იყო და შემექმნა წარმოდგენა ბალანჩინზე, როგორც მსუბუქ და ნიჭიერ ქორეოგრაფზე, საზოგადოდ აღიარებულ არტისტსა და ადამიანზე. ბედნიერი ვიქნებოდი, მისი ცეკვა მეხილა, ახლა კი მოტივირებული ვარ, მისი წარმოდგენების ჩანაწერები ვნახო. საქართველოში ამ პერიოდში ყოფნა და ამ სადღესასწაულო ღონისძიებებში მონაწილეობა ჩემთვის დიდი პატივია.

As I mentioned above, we published a Balanchine-themed calendar for the New Year, and I must say that I enjoyed picking out photos for the calendar and gained the impression of Mr. Balanchine as a lithe, gifted dancer, and a widely admired artist and human being. I wish I had been lucky enough to see him dance, and now I am motivated to look for film recordings of his performances. It has been a great honor for me to be here in Georgia at this time to participate in this celebration.

პაულ კოლნიკი:  
PAUL KOLNIK:

# „ეს შთაბეჭდილება ცხოვრების ბოლომდე მემახსოვრება!“

## “I will cherish the experience as long as I live”

„არაბესკი“ ისაუბრებს ფოტოგრაფს, რომელიც იღებდა ბალანჩინის  
ARABESQUE TALKED TO THE PHOTOGRAPHER WHO CAPTURED BALANCHINE

18 მაისს, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის განახლებული, რესტავრირებული დარბაზებიდან ერთ-ერთს ჯორჯ ბალანჩინის სახელი მიენიჭება. ამ დარბაზების გახსნა მუზეუმთა საერთაშორისო დღეს და საქართველოში ჯორჯ ბალანჩინის საიუბილეო კვირეულს დაემთხვა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით იმართება. ჯორჯ ბალანჩინის დარბაზში პირველად პაულ კოლნიკის, ამერიკელი ფოტოგრაფის ნამუშევრები გამოიფინება. ფოტოები ნიუ-იორკიდან თბილისში ამ დღისთვის სპეციალურად ჩამოვა.

პაულ კოლნიკს ბალანჩინთან მრავალწლიანი ურთიერთობა აკავშირებდა. მის არქივში მისტერ ბის მრავალი უნიკალური ფოტო ინახება. ფოტოგრაფი დღესაც იღებს ბალანჩინის თეატრს – „ნიუ იორკ სითი ბალეს“. პაულ კოლნიკი სიამოვნებით დაგვთანხმდა საკუთარი ნამუშევრები ჩვენს ჟურნალში დაგვებეჭდა და „არაბესკის“ კითხვებსაც უპასუხა.

On May 18, one of the renovated halls of the Museum of Theatre, Music, Cinema and Choreography of Georgia will be given the name of George Balanchine. The opening will coincide with the International Day of Museums and the Balanchine celebration week in Georgia, the latter celebrated with the support of the Embassy of the United States. The George Balanchine Hall will host a photo exhibition of Paul Kolnik, the American photographer who will be travelling to Tbilisi for the occasion.

ჯორჯ ბალანჩინი  
„DAVIDSBÜNDLERTANZE“  
რეპეტიციონი  
GEORGE BALANCHINE  
REHEARSING  
DAVIDSBÜNDLERTANZE

Paul Kolnik shared a long-standing collaboration with Balanchine, and his archive features numerous unique photographs of Mr B. Kolnik continues his work at the New York City Ballet. He agreed with pleasure to publish his photographs in our magazine and also answered our questions.





პაულ კოლნიკი  
PAUL KOLNIK

თქვენ მრავალი წელი იღებდით ბალანჩინის და „ნიუ იორკ სითი ბალეტს“ საბალეტო სპექტაკლებს. როდის და როგორ დაიწყო თქვენი თანამშრომლობა?

ვფიქრობ, ეს თანამშრომლობა იმ წუთიდან დაიწყო, როდესაც პირველად აღმოვჩინდი ჩემი აპარატით მისი ბალეტების პირისპირ. ეს ისაა, საიდანაც დაიწყო დაუსრულებელი საუბრები, რომელსაც ყველაზე კარგად ლათინური ტერმინი Conversatio გამოხატავს. ეს ტერმინი ბენედიქტელი ბერების მიხედვით ნიშნავს „ღმერთთან მიმდინარე დიალოგს, რაც გამოხატულია საერთო მონასტრული ცხოვრების წესში (უბრალოება და თავმდაბლობა) და რომელმაც ადამიანის გულში უნდა გააღრმავოს უნარი, მოემზადოს მადლის მისაღებად“. ეს გახლავთ ბალანჩინის სიმბოლური ასპექტი ჩემთვის. მისთვის მნიშვნელოვანი იყო „მსახურებაში“ ყოფნა.

გარკვეული დროის შემდეგ ბალანჩინი გაეცნო ჩემს შემოქმედებას და ლინკოლნ კირსტეინთან ერთად დამავალა რეპეტიციებზე და წარმოდგენებზე დასწრება და მათი გადაღება. ასე დაიწყო ჩვენი უფრო „პერსონალური“ კონტაქტი. რა თქმა უნდა, ეს შთაბეჭდილება ცხოვრების ბოლომდე მემახსოვრება, მაგრამ ვგრძნობ, რომ ნამდვილი თანამშრომლობა ჩვენს შორის იქიდან გამომდინარე არსებობდა „რატომაც“ და „რასაც“ ჩვენ წარმოვადგენდით: ჩემი ფოტოგრაფია და მისი ქორეოგრაფია. სწორედ აქ გადაიკვეთა ჩვენი ხედვა; სწორედ აქ გახდა ეს ყველაფერი ჩემთვის საინტერესო.

ჩემი ნაშრომებიდან ბევრი დიპტიქს ან ტრიპტიქს წარმოადგენს. ისინი ხშირად სხვადასხვა ბალეტის ფოტოებს მოიცავს, რომლებიც ერთმანეთს საინტერესოდ ეხმიანებიან, თუკი ერთმანეთთან დაკავშირებით აღვიქვამთ. ჩემი აზრით, სწორედ ასე მუშაობს გონება, განსაკუთრებით შემოქმედის გონება. ამის მაგალითია ალეგრა კენტის და დენი ლამონის ფოტო „ივესიანას“ „უპასუხო შეკითხვიდან“, როდესაც მას სიუზან ფარელის „ელეგიას“ ფოტოს შევუპირისპირებთ. ბალანჩინის მიერ ამ ორ განსხვავებულ ბალეტში გამოხატული ემოციის სიღრმე კიდევ უფრო ძლიერდება, როდესაც მათ ერთად ვხედავთ. ამ ყველაფერზე ფრანგი პოეტის სტეფან მალარმეს პოემის ხაზები მახსენდება: „დიახ, ვიცი, რომ დედამიწა ლამის სიღრმეში უცნაური და მისტიკური სინათლის სხივს აფრქევს, რომლის

You spent many years photographing Balanchine and New York City Ballet productions. When and how did your collaboration begin?

I feel the true collaboration began the moment I was first in front of his ballets with my camera. This is where for me the never ending conversation began. The term that I feel most apt is Conversatio, a Latin term that, according to Benedictine monks is, “... an ongoing conversion to God, as expressed in the whole monastic manner of life (simplicity and humility for example) and deepened formation of the heart toward virtue and grace.” This is a signature aspect of Mr. Balanchine for me. It was important for him to be “in service.”

As time went on and Mr. Balanchine came to know my work, he and Lincoln Kirstein requested that I be present to photograph rehearsals and performances, which is when our more “personal” contact began. I will, of course, cherish this experience as long as I live but, I will always feel the true collaboration exists between the “why” and “what” we are: my photography and his choreography. This is where our vision interweaves; this is where it gets interesting to me.

Many of my works are diptychs or triptychs. They often contain images from different ballets that resonate in interesting ways when seen in relation to each other. To me, this is the way the mind works, especially the creative mind. An example of this is my photograph of The Unanswered Question from Ivesiana with Allegra Kent and Deni Lamont juxtaposed with a photograph from Élégie with Suzanne Farrell. The depth of emotion that Balanchine created in these two distinct ballets seems even more heightened when they are seen together. This puts me in mind of lines from a poem by the French poet Stéphane Mallarmé:

*Yes, I now know that far into the night the Earth is flinging a strange and mysterious shaft of light, Whose brilliance will only be increased as the grim centuries pass by.*

I know this is a very long answer to your question but, for me, where the collaboration began is also where it still is. This is one of the reasons why I call the exhibition, *Balanchine: The Eternal Present*.

ბრწყინვალეობაც მხოლოდ იზრდება მძიმე საუკუნეთა გასვლასთან ერთად“.

ვიცი, რომ ეს ძალიან გრძელი პასუხია თქვენს შეკითხვაზე, მაგრამ ჩემთვის ჩვენი თანამშრომლობა სწორედ იქ დაიწყო, სადაც დღემდეა. სწორედ ამიტომ დავარქვე გამოფენას „ბალანჩინი: მუდმივად აწმყოში.“

### როგორი დარჩა ბალანჩინი თქვენს მესხიერებაში?

ბალანჩინი ყოველდღე ჩემს გვერდითაა. როდესაც მეგობრებთან ერთად დროს ვატარებ, ჩემი პირველი სადღეგრძელო ყოველთვის „მისტერ ბის“ შეეხება, როგორც ბალანჩინის მისი პერსონით აღფრთოვანებული მოცეკვავეები იცნობდნენ. სწორედ ასე ვიწყებთ ჩვენს შეკრებებს სუფრასთან, ან სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში. თვით ჩემი მეგობრების წრეც, ისევე, როგორც ის ადამიანები, რომლებსაც ვხვდები, ბალანჩინთან ურთიერთობის შედეგია. ჩემს ცხოვრებას ბალანჩინის პიროვნება და მისი შემოქმედება ყოველდღიურად ამდიდრებს. მისი ბალეტები სულიერი

How has Balanchine remained in your memory? Tell us about his human qualities and the work process with him.

Mr. Balanchine is with me every day. Whenever I am out with friends, the very first toast I make is always to Mr. B., as he is affectionately known by his dancers. It is the way we start our meals and any other special occasions. For me, my whole circle of friends and people I come into contact with is essentially due to being involved with Mr. Balanchine. Here I am, engaged in this interview and exhibition and, it is all because of Mr. Balanchine. My life is enriched on a daily basis because of who Mr. Balanchine was and what his works mean as acts of creation. His ballets embody a nobility of Spirit that is rarely realized in our modern day and age. What he has created is, not only important to the ballet world but, is also one of the crowning achievements of our civilization, along with the works of Shakespeare, Mozart and other titans of humanity. I cannot hear a piece of music that he choreographed to and not immediately think about him and his ballet; always with great joy but, also

ჯორჯ ბალანჩინი  
სტეფანია სალანდთან  
„აპოლოს“ რემედიოშიაში.  
„ნიუ იორკ სიტი ბალე“

GEORGE BALANCHINE  
REHEARSING STEPHANIE  
SALAND IN APOLLO.  
NEW YORK CITY BALLET





ჭორჯ ბალანჩინი პიეტერ მარტინსთან და ადამ ლიუდერთან ერთად „ორფეოსის“ რეპეტიციამდე. „ნოუ იორკ სიტი ბალე“

GEORGE BALANCHINE REHEARSING PETER MARTINS AND ADAM LÜDERS IN *ORPHEUS*. NEW YORK CITY BALLET

კეთილშობილების სიმბოლოა, რომელიც ჩვენს თანამედროვე ეპოქაში იშვიათად გვხვდება. მის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საბალეტო სამყაროსთვის, არამედ ცივილიზაციის ისეთივე მიღწევებს წარმოადგენს, როგორც შექსპირის, მოცარტის და კაცობრიობის სხვა ტიტანების ნაშრომები. ყოველთვის, როდესაც მესმის მუსიკა, რომელზეც ის ქორეოგრაფიას ქმნიდა, მაშინვე ის და მისი ბალეტები მახსენდება; ამ ყველაფერს დიდი სიხარულით, თუმცა, ამავე დროს, დიდი მეღანქლით ვიხსენებ, რადგან ნამდვილად მაკლია, რომ ის სხეულით ჩვენთან აღარ არის, რათა სიხარულით გაატაროს დღე, სიამოვნებით იურთიერთოს მოცეკვავეებთან და შექმნას ახალი ბალეტები. ეს ჩემთვის დიდი მწუხარებაა.


ვფიქრობ, ბალანჩინის ერთ-ერთი საუკეთესო თვისება იყო მისი უნარი, საკუთარი თავი „იმ წუთში, იმ მომენტში“ ეგრძნო. ცნობილი ისტორიის თანახმად, როდესაც ის „სერენადას“ დგამდა, ერთ-ერთმა მოცეკვავემ დააგვიანა და მისთვის განკუთვ-

with much melancholy, as I truly miss that he is not present in the flesh, enjoying the day, enjoying his dancers and, making more ballets. It is a great sadness for me.

I think one of the best qualities of Mr. Balanchine was his awareness of being in the moment. There is a famous story that when Mr. Balanchine was creating *Serenade*, one of the dancers came in late and was trying to find her place. Another choreographer might have berated her for being late but, instead, Mr. Balanchine turned that seemingly mundane everyday occurrence into a transformative poetic moment that resonates throughout the entire ballet. When working with his dancers he always wanted to bring out the best in them. His mindfulness kept him in the “here and now” and thus, his creativity would flow out in relation to the dancer in front of him. As he would often say, “My muse comes to me on union time.”

Your photographs show stars of Balanchine's company, the dancers for





ნილ ადგილს ეძებდა. სხვა ქორეოგრაფი ალბათ მას დატუქსავდა, თუმცა ბალანჩინმა ეს თითქოს ყოველდღიური შემთხვევა ტრანსფორმაციულ პოეტურ მომენტში გარდაქმნა, რომელიც მთელი ბალეტის განმავლობაში ჩანს. მოცეკვავეებთან მუშაობისას ყოველთვის სურდა, მათი უნარები ბოლომდე გამოემჟღავნებინა. აღქმადობის უნარი ყოველთვის აძლევდა საშუალებას, შეეგრძნო „აქ და ახლა“ და ამიტომ მისი შემოქმედებითი პროცესი მის წინ მდგარი მოცეკვავიდან გამომდინარე მომდინარეობდა.

**თქვენ ფოტოებზე აღბეჭდილნი არიან ბალანჩინის დასის გარსკვლავები, ბალერინები, რომლებსაც თქვენს ქორეოგრაფი შედეგებს ქმნიდა. როგორი იყო ბალანჩინის ურთიერთობა მოცეკვავეებთან?**

უბრალოდ რომ ვთქვათ, ბალანჩინს მისი მოცეკვავეები უყვარდა. ამბობდა, რომ მისი ბალეტები მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც მათ ცეკვავენ; ეს ბალეტები

**whom he choreographed his masterpieces. How was his relationship to the dancers?**

Quite simply, Mr. Balanchine loved his dancers. He said his ballets only exist when they are being danced; in essence, the ballets would not exist without the dancers. He was known for bringing out the very best in his dancers. I think he was especially drawn to those that both, spiritually and physically, kept trying to strive beyond what seemed possible. He once famously said “I want everything, all the time.” He wanted speed, intensity, grace and he wanted it “now,” in the present. “What are you saving it for?”

**For an artist all of one’s work is special and close to one’s heart, however, do you have a favorite photograph among your collection?**

For me, that's a difficult question. I know when people ask me if I have any favorite ballets, I often say there are twenty different

ჯორჯ ბალანჩინი და პატრიცია მაკბრაიდი, ბონიტა ბორნე, სტიფანია სალანდი, ჟან-პიერ ფროლიჩი „აპოლოს“ რეპეტიციისას. „ნიუ იორკ სიტი ბალე“

GEORGE BALANCHINE REHEARSING PATRICIAMCBRIDE, BONITA BORNE, STEPHANIE SALAND, AND JEAN-PIERREFROHLICH APOLLO. NEW YORK CITY BALLE

უბრალოდ არ იარსებებდა მათ გარეშე. ის ცნობილი იყო უნარით, მოცეკვავეების შესაძლებლობებიდან მაქსიმუმი მიეღო. ვფიქრობ, ის განსაკუთრებით ახლო იყო ისეთ მოცეკვავეებთან, რომლებიც – როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად – მუდმივად, ერთი შეხედვით შესაძლებელზე მეტის მიღწევას ცდილობდნენ. ერთხელ განაცხადა კიდევ: „მსურს ყველაფერი და ყოველთვის“. ითხოვდა სისწრაფეს, ინტენსიურობას, გრაციოზულობას და ამ ყველაფერს მოითხოვდა „ახლა“, „აწმყოში“. „რისთვის ზოგავთ თავს?“ – იყო მისი კითხვა.

**ხელოვანისთვის საკუთარი ნამუშევრები საყვარელი და ახლობელია. მაგრამ იქნებ გაქვთ ფოტო, რომელიც ყველაზე ძალიან გიყვართ?**

რთული შეკითხვაა. როდესაც რჩეულ ბალებებზე მეკითხებიან, ხშირად ვპასუხობ, რომ ჩემს საყვარელ ხუთეულში ოცი სხვადასხვა ბალები შედის. სხვადასხვა მომენტიდან გამომდინარე, ბალებები ჩემზე სხვადასხვა შთაბეჭდილებას ტოვებს. ვფიქრობ, ასევე ვხედავ ჩემს ფოტოებს. თუმცა, შემძლია ვთქვა, რომ როდესაც ბალანჩინს „Davidsbündlertänse“-ს დადგმისას გადავუღე, იმ მომენტში, როდესაც მან მკლავები აღმართა, ღილაკზე დაჭერისთანავე ვიცოდი, რომ ზეაღმატებული მოვლენა დავაფიქსირე. მახსოვს, როგორ გამაჟურიალა ამ მომენტის გადაღებისას – ვიცოდი, რომ რაღაც განსაკუთრებული მოხდა. ისეთი შეგრძნება იყო, თითქოს მოვლენათა დამთხვევამ, რომელიც რეალურ დროში ხდებოდა, ეს იდეალური მომენტი შექმნა, რომელიც ახლა გარკვეულწილად სამუდამოდაა დარჩენილი. როდესაც ფოტოს გადაღების დროს ასეთი „დამთხვევა“ ხდება, ვხვდები, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ხდება. ეს „იმ მომენტის“ ფენომენს შეეხება. წინასწარ არ შეიძლება იცოდეთ, რომ ეს მოხდება, უბრალოდ, იმ დროს იქ უნდა მოხდეთ.

**გამოფენა, რომელიც თბილისში უნდა გაიმართოს რომელი ფოტოებისგან შედგება, ბალანჩინის შემოქმედების რა პერიოდია მასზე ასახული?**

ჩემი გამოფენა ბალანჩინის შემოქმედების ფართო პერიოდს მოიცავს. იქნება ფოტოები დიაგილევის „რუსული ბალები“ დასისთვის მის მიერ დადგმული

ballets in my top five favorites. Depending on the moment, ballets touch me in different ways at deeper levels. I think this is similar to the way I think about my photographs. I will say, however, that when I photographed Mr. Balanchine rehearsing his ballet, *Davidsbündlertänse*, as he lifted his arms, I clicked the shutter and I knew in that “moment” I had something transcendent. I remember feeling a shudder go through me as I took that photograph. I knew something special had occurred. It felt as if a confluence of events, happening in real time, created that perfect moment, which now has its own kind of eternity. When this “coming together” happens as I photograph, I know something significant is taking place. It has to do with the “present moment.” It is not about knowing when something is “going” to happen, it is about being there “as” it happens.

**Which era of Balanchine's creative work is shown in your photographs that are set to be exhibited in Tbilisi?**

My exhibition covers a wide range of Balanchine's creative work. There will be photographs of his earlier ballets for Diaghilev's Ballet Russe: for example, *Apollo* and *Prodigal Son*. Also, *Serenade*, the first ballet he choreographed in the United States will be represented as well as many ballets he created since that time. An important aspect to me is that his creative work is continued by the dancers performing it in the present. This is a key element of my exhibition; it is a “coming together” of the past and the present that creates a kind of, as I say, “eternal present.” This is also why I like juxtaposing photographs of dancers from the present with dancers from decades ago. These images inform each other and we are able to look at his work in a new way, in our present moment of viewing these images.

**You still photograph performances at the New York City Ballet. How do you see the company today?**

The company has always been a creative institution. Mr. Balanchine and Jerome Robbins were creating new ballets every year, often, every season. There was always new work being created. New choreography was constantly a driving force at the New York City Ballet. This tradition, under Peter Martins, continues at the company with new works being created by a larger number of choreographers. It is amazing to see the dancers able to adapt themselves to

ადრინდელ ბალეტებიდან, მაგალითად „აპოლო“ და „უძღები შვილი“. ასევე იქნება „სერენადა“, მისი პირველი ბალეტი შეერთებულ შტატებში და მრავალი შემდგომი დადგმა. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ მის შემოქმედებას დღეს მოცეკვავეები აგრძელებენ. ეს ჩემი გამოფენის მნიშვნელოვანი ელემენტია; ეს წარსულის და აწმყოს „დამთხვევა“, რომელიც გარკვეულწილად „მუდმივ აწმყოს“ ქმნის. ესაა იმის მიზეზიც, რატომ მიყვარს ათწლეულების წინ შემსრულებელი მოცეკვავეების და დღევანდელი არტისტების ფოტოების ერთად წარმოდგენა. ეს სურათები ერთმანეთს ავსებს, ჩვენ კი ამ ნაშრომების ახალი კუთხით, აწმყოში ხილვის საშუალება გვძლევს.

**თქვენ ამჟამად იღებთ „ნიუ იორკ სითი ბალეს“ სპექტაკლებს. როგორია ამ დასის თქვენეული შეფასება დღეს?**

ეს დასი ყოველთვის შემოქმედებით დაწესებულებას წარმოადგენდა. ბალანჩინი და ჯერომ რობინსი ყოველ წელს ახალ ბალეტს დგამდნენ. ყოველ სეზონში მიმდინარეობდა მუდმივად ახლის შექმნის პროცესი. „ნიუ იორკ სითი ბალეს“ წამყვანი ძალა ახალი ქორეოგრაფია იყო. ეს ტრადიცია პიტერ მარტინსის ხელმძღვანელობით, ქორეოგრაფთა დიდი შემადგენლობის მუშაობით გრძელდება. საოცარია, როგორ ახერხებენ მოცეკვავეები დიდად განსხვავებული, ფიზიკური მოთხოვნების მქონე, ქორეოგრაფიაზე მორგებას. ჩვენს საუკუნეში ყოველ ჩვენგანს მეტი მოეთხოვება და ეს ნამდვილად ჩანს იმ მოცეკვავეთა მაგალითზე, რომლებიც ახალ ბალეტებში ცეკვავენ. ამ ყველაფერთან ერთად, სასიამოვნოა იმის ნახვა, რომ დასის საფუძველს კვლავაც ბალანჩინის რეპერტუარი წარმოადგენს. ის, თუ როგორი მონდომებით და თავდადებით ერთვებიან ეს მოცეკვავეები ბალანჩინის ქორეოგრაფიაში, აჩვენებს, რამდენადაა მისი რეპერტუარი მათი ნაწილი. მგონი, „ნიუ იორკ სითი ბალეს“ ყოველწლიურად მსოფლიოს სხვა ნებისმიერ დასზე მეტ ბალეტს დგამს. ბალანჩინისეული მემკვიდრეობა მათ მიმდინარე „საუბარს“ შთააგონებს, რომელიც აწმყოშია მასსა და მისი ბალეტების შემსრულებლებს შორის. ესაა საუბარი, რომელიც ბალანჩინთან ჩემი „Conversatio“-ს შუაგულშია, ჩვენს მიმდინარე, მუდმივ აწმყოში.



choreographers with far ranging physical demands in their new work. We are in a new century and, it seems we live in a time of more and more being expected and demanded of us all. This is certainly true of the dancers bringing these new works into being. It is wonderful to see, however, that the Balanchine repertoire is still the foundation of this company. The way in which the dancers engage with these Balanchine ballets with such an eagerness, exuberance and commitment, shows how much the Balanchine repertory is at the core of their beings. I believe the New York City Ballet commissions more music and more ballets on a yearly basis than any other company in the world. Mr. Balanchine's legacy of never-ending creativity inspires this ongoing conversation, in the present, between him and those that dance his ballets. It is this conversation that is at the heart of my Conversatio with Mr. Balanchine, in this ongoing, eternal present.

პიტერ მარტინსი „აპოლო.“ „ნიუ იორკ სითი ბალეს“

PETER MARTINS IN APOLLO. NEW YORK CITY BALLET

# „ყოველ წელს ბალანჩინის ორასზე მეტი ბალეტის ლიცენზიას გავცემთ“

ელენ სორინი ჯორჯ ბალანჩინის ფონდის დირექტორი და ნიუ-იორკის ქორეოგრაფიული ინსტიტუტის მმართველი დირექტორია. წარსულში ის „ნიუ-იორკ სითი ბალეს“ განათლების და განსაკუთრებული პროექტების განყოფილებებს ხელმძღვანელობდა. ამავე დროს ელენ სორინი ჰემსლის განათების პროგრამების პრეზიდენტია, რომელიც განათების დიზაინის სტუდენტებს აკადემიური განათლების მიღების შემდეგ პროფესიულ სამყაროში გადასვლაში ეხმარება.

სორინს გადაღებული აქვს ფილმები ჯორჯ ბალანჩინზე, ტანაკილ ლე კლერკზე, ლინკოლნ კირსტეინზე და ჯერომ რობინსზე. 1987 წელს მან გადაიღო ფილმი „სიცოცხლის ცეკვა“ (რეჟისორი ჯერომ რობინსი), რომელიც ნიუ-იორკის ცეკვის საზოგადოების პროექტია შიდსის წინააღმდეგ კამპანიისთვის.

**ბალანჩინის ფონდი უკვე ორ ათეულ წელზე მეტია არსებობს. რა მემკვიდრეობაა დღეს ფონდის მფლობელობაში, რას პატრონობს „ბალანჩინ ტრასტი“?**

ჯორჯ ბალანჩინის ყველა ნაშრომი, გარდა დაახლოებით ათი ბალეტისა, ფონდის პატრონაჟის ქვეშაა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფონდი ყველა მის ნაშრომს უვლის იმის მიუხედავად, ისინი მათზე უფლების მქონე მხარეებმა ფონდის პატრონაჟის ქვეშ მოაქციეს თუ არა. ზოგიერთ ნაშრომზე უფლებები საზიაროა. ასე რომ არსებობს გარკვეული სხვაობა ამ მემკვიდრეობის ფორმებში.

**ბალანჩინის შედევრები დღეს „ნიუ იორკ სითი ბალეს“ გარდა მრავალი ქვეყნის საბალეტო თეატრში იდგმება. რამდენ თეატრთან და საბალეტო კომპანიასთან აქვს**

**ურთიერთობა ბალანჩინის ფონდს?**

ყოველ წელს ჩვენ ასზე მეტი ბალეტის ლიცენზიას გავცემთ. ზოგჯერ ცალკეული დასები, საბალეტო სკოლები და ინდივიდუალური მოცეკვავეები ერთდროულად რამდენიმე ბალეტის ლიცენზიასაც იღებენ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ეს უფლებები ხშირად ხანგრძლივი პერიოდით, როგორც წესი, სამი წლით გაცივდება, გამოდის, რომ ყოველ წელს ჩვენ ფაქტობრივად ორასზე მეტი ბალეტის ლიცენზიას გავცემთ.

**ბალანჩინის ბალეტების რამდენიმე ვიდეო ჩანაწერი არსებობს, რომელიც გამოცემულია და ნებისმიერ მსურველს შეუძლია მისი ნახვა და შეძენა. დაგეგმილია თუ არა ბალანჩინის ბალეტების ძველი ჩანაწერების და თავად მისი საარქივო ვიდეომასალის კვლავ გამოცემა?**

საარქივო მასალა, მათ ჩამწერ კომპანიებთან შეთანხმების შესაბამისად, როგორც წესი, საჯარო გავრცელებისგან შეზღუდულია. ისინი ძირითადად რეკონსტრუქციის მიზნით გამოიყენება და არ გააჩნია გავრცელებისთვის შესაფერისი ტექნიკური ხასიათი. ზოგიერთი ძველი ჩანაწერი, რომელიც კანადის სამაუწყებლო კორპორაციის მფლობელობაშია და შეერთებულ შტატებში სხვა კომპანია ავრცელებს, მოიცავს მასალას 1950-იანი და 1960-იანი წლებიდან და თანდათანობით გამოიცემა. მათ გავრცელებას რაიმე მნიშვნელოვანი შემოსავალი არ მოაქვს, თუმცა ინტერესი ამ მასალისადმი ნამდვილად არსებობს.

**სად ინახება ბალანჩინის არქივი? სახლში, სადაც ცხოვრობდა ქორეოგრაფი, მომავალში ხომ არ იგეგმება მისი მუზეუმის გახსნა?**

მუზეუმის გახსნა არ იგეგმება, რადგან რეალურად მისი ფუნქციას მისი ბალეტები ასრულებენ. არქივები ორადგილას ინახება — მისი პირადი არქივი ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია, „ნიუ იორკ სითი ბალეს“ კი მისი ბალეტების ფოტოგრაფიული და ვიდეო ჩანაწერის დიდ არქივს ფლობს.

**2004 წლიდან ფონდი აქტიურად თანამშრომლობს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან და მის საბალეტო დასთან. მას შემდეგ რაც ნინო ანანიაშვილი ამ დასს ჩაუდგა სათავეში თბილისში ბალანჩინის 10 ბალეტი და მინიატურა დაიდგა. ახლა საიუბილეოდ კიდევ ერთი ბალეტი დაიდგმება. როგორ შეაფასებდით ამ თანამშრომლობას? რამდენად ხართ კმაყოფილი თბილისში ბალანჩინის შესრულების დონით?**

ალბათ სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ უკმაყოფილების შემთხვევაში ამ ბალეტების ლიცენზიას არც გავცემდით. ვფიქრობ, რომ ნინო მეთად ერთგულია ამ თანამშრომლობისადმი. მას თავად აქვს შესრულებული ბალანჩინის ამ ბალეტებიდან ზოგიერთი და აფასებს მათ მნიშვნელობას საბალეტო სამყაროსათვის. მათგან ბევრი ბალანჩინის შემოქმედებისთვის უმნიშვნელოვანესია.

**რამდენი წელია ბალანჩინის ფონდს ხელმძღვანელობთ?**  
უნდა აღვნიშნო, რომ ფონდს სათავეში 2004 წელს ჩავუდექი, ბალანჩინის გარდაცვალებიდან ოცი წლის შემდეგ. ვმუშაობდი ბარბარა ჰორგანთან, ბალანჩინის ასისტენტთან ერთად, რომელმაც იცოდა, რომ ბალანჩინის ნაშრომებს ჩემზე დიდი გავლენა ჰქონდა.

ELLEN SORRIN:

# “We license over two hundred Balanchine ballets every year”

Ellen Sorrin is Director of the George Balanchine Trust as well as Managing Director of the New York Choreographic Institute. Previously she was Director of Education and Director of Special Projects at New York City Ballet. She is president of The Hemsley Lighting Programs, a foundation dedicated to the transition of lighting design students from the academic to the professional world.

She has produced NYCB in-house film tributes for New York City Ballet on George Balanchine, Tanaquil Le Clercq, Lincoln Kirstein and Jerome Robbins. In 1987, prior to coming to NYCB, she produced *Dancing for Life*, the New York dance community's response to AIDS, directed by Jerome Robbins.

**The Balanchine Trust has been in existence for more than two decades. How much of the Balanchine legacy is under the patronage of the organization today?**

All six paintings by Vasil Balanchivadze preserved at the museum were supposedly created during his studies at St Petersburg: most of them feature portraits of individuals of Slavic appearance, apparently his models during studies in Russia. One of these works – notable for its artistic value – probably features William Shakespeare and shows clear influence of the Repin style on Balanchivadze’s work. Apparent in this piece is the similarity to the gaze from Repin’s self-portrait, facial shades of his Poor Man and brush strokes from the portrait of Anton Rubinstein.

The museum’s archives also hold a portrait of Ana Balanchivadze, sister of Vasil and Meliton, created in St Petersburg in 1895 by painter with the surname of Matveev, who also painted a portrait of Tamar Balanchivadze, daughter of Meliton, on August 5 of the same year. Not much is known about Tamar Balanchivadze. We only know she was a talented painter and died during the Leningrad Siege in 1943. One of her works is preserved at the Tbilisi Academy of Arts Museum. The piece is of much interest for its artistic value, although it had to be restored to repair various damage including tearing and surface stain. The museum’s Restoration Council decided this year to carry out urgent repairs to the piece, and to prepare it for exposition. The restoration was carried out by Mariam Imedashvili. After

წავლებელში განაგრძო. მხატვრის ნიჭით დაჯილდოებული ვასილ ბალანჩივაძე 1887 წელს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში ჩაირიცხა, იქ იგი დიდი რუსი მხატვრის ილია რეპინის კლასში სწავლობდა, თუმცა სიღარიბის გამო მან სრული კურსი ვერ დაამთავრა და 1890 წელს თბილისში დაბრუნდა. დავით სარაჯიშვილის სტიპენდიის წყალობით 1904 წელს ვასილ ბალანჩივაძე სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგში მიემგზავრება, მაგრამ მალე უკან ბრუნდება და კლასიკურ გიმნაზიაში ხატვის მასწავლებლად განაგრძობს მუშაობას. მუზეუმში დაცული ვასილ ბალანჩივაძის ექვსივე ფერწერული ტილო პეტერბურგში მოღვაწეობის დროს უნდა იყოს დახატული. ამას შემდეგი გარემოება გვაფიქრებინებს: ნამუშევრების უმრავლესობაზე სლავიანური გარეგნობის ადამიანების პორტრეტებია წარმოდგენილი, ეს სახეები ბალანჩივაძეს რუსეთში სწავლის დროს ნატურებისაგან უნდა შეექმნა, ნახატებს შორის მხატვრული ღირებულებით გამორჩეულია ერთი პორტრეტი, რომელზეც სავარაუდოდ უილიამ შექსპირი უნდა იყოს დახატული. ამ პორტრეტში აშკარად იგრძნობა ბალანჩივაძის მასწავლებლის ილია რეპინის გავლენა, ნახატში კარგად ამოიკითხავთ რეპინისეული ავტოპორტრეტის თვალთა გამოხედვას, „უპოვარი მამაკაცის“ სახის შუქ-ჩრდილებს და კომპოზიტორ ა.რუბინშტეინის ფიგურისათვის დამახასიათებელ ფუნჯის მონასმებს.

მუზეუმში დაცულია ვასილ და მელიტონ ბალანჩივაძეების დის ანა ანტონის ასული ბალანჩივაძე-ჭავჭავაძის პორტრეტი. ნახატი 1895 წელს პეტერბურგში მხატვარ მატვეევის მიერაა შესრულებული. იმავე მხატვარს იმავე წლის 5 აგვისტოს დაუსრულებია თამარ მელიტონის ასული ბალანჩივაძის პორტრეტი. თამარის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. ვიცით რომ ის ნიჭიერი მხატვარი ყოფილა და 1943 წელს ლენინგრადის ბლოკადას ემსხვერპლა. მისი ერთი ნამუშევარი თბილისის სამხატვრო აკადემიის კოლექციაშია დაცული. თამარის პორტრეტი, რომელიც მუზეუმის ფონდებშია, უდაოდ ხელოვნების საინტერესო ნიმუშია, მისი მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო, ნახატს აღენიშნებოდა მცირე ზომის ნახევები ზედა ცენტრალურ ადგილას და ქვედა კიდებზე. ტილო დეფორმირებული იყო, მისი ზედაპირული დაბინძურება ფერწერის სრულ ხილვადობას ხელს უშლიდა. მიმდინარე წელს მუზეუმის სარესტავრაციო საბჭომ გადაწყვიტა ნამუშევარს სასწრაფოდ ჩატარებოდა რესტავრაცია და საექსპოზიციოდ მომზადებულიყო. რესტავრაცია მარიამ იმედაშვილმა ჩაატარა.

removing the bottom frame from the piece it became apparent to her that the canvas was worn and thinned out enough to warrant the necessity for a new base, so she reinforced the canvas using fish glue and filtering paper, straightened the deformed parts using the steaming method and used a fish glue triple-soaked canvas for duplication. The canvas was cleansed using distilled paper and cotton tampons, while the lost parts were filled using soil and covered with watercolor paint. The painting was covered with Dammar Varnish. The portrait of Ana Balanchivadze is due to undergo the same process and both pieces will take their place in the acting exposition.

We tried to research information about the author for the pieces. Of the painters active in Russia in 1895 only Nikolay Matveev

ანდრია ბალანჩივაძის პორტრეტი.  
მ. მუხამეის ნახატი  
PORTRAIT OF ANDRIA BALANCHIVADZE.  
PAINTING BY N. MATVEEV





თამარ ბალანჩივაძის პორტრეტი.  
ნ. მათვევის ნახატი  
PORTRAIT OF TAMAR BALANCHIVADZE.  
PAINTING BY N. MATVEEV

(1855–1939) is known to us. He studied at the Moscow School of Art from 1872–1881 and was awarded the Minor Silver Prize twice during the period. He attended art lessons at the Ilya Repin Workshop starting 1880, and could have come across Vasil Balanchivadze and, subsequently, his family members. Nikolay joined the Moscow Society of Art Enthusiasts in 1901, where he met the famous collector Pavel Tretyakov, with the latter purchasing one of the artist’s works. This brought public appreciation to Matveev. It would be very difficult though to state with confidence that the paintings at the Palace of Art in Tbilisi were created by him, with the subject in need of more research.

There are other notable examples of artistic work tied with the Balanchine family at the museum. Among these pieces are the portrait of George Balanchine by well-known painter Irakli Toidze (1902–1985) and the brilliant portrait of Andria Balanchivadze by Vasil Shukhayev (1887–1973). Both of these will be presented at the George Balanchine Exhibition Hall on May 18, the International Museum Day.

ნახატის ქვეყნარჩოდან მოხსნის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ტილო სიძველისაგან იმდენად დათხელებულ-დაცრეცილი იყო, რომ მას აუცილებლად სჭირდებოდა ახალი საფუძველი. ამიტომ რესტავრატორმა პროცენტური თევზის წებოთი და საფილტრავი ქაღალდის საშუალებით მოახდინა ფერწერის ზედაპირის გამაგრება, შემდეგ დეფორმაციები გაასწორა გაორთქვლის პროცესის საშუალებით. დუბლირებისთვის გამოიყენა თევზის წებოთი სამჯერადად დაგრუნტული ტილო. ფერწერული ფენა გაიწმინდა გამომხდელი წყლისა და ბამბის ტამპონებით, დაკარგული ადგილები კი გრუნტით შეივსო და აკვარელის საღებავით დაიფარა. ნახატი დამარის ლაქით დაიფარა. იგივე პროცესი ჩატარდება ანა ანტონის ასულ ბალანჩივაძე-ჭავჭავაძის პორტრეტს, ამდენად ორივე ნამუშევარი ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებენ მუდმივმოქმედ ექსპოზიციაში.

ვეცადეთ მოგვეპოვებინა ინფორმაცია ნახატების ავტორის მატვევის შესახებ. 1895 წელს რუსეთში მოღვაწე მხატვრათაგან ამ გვარით ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ნიკოლოზ სერგეის ძე მატვევი (1855–1939). იგი 1872–1881 წლებში მოსკოვის ფერწერის სკოლაში სწავლობდა, ამ პერიოდში ორჯერ დაჯილდოვდა მცირე ვერცხლის მედლით, 1880 წლიდან ილია რეპინის სახელოსნოში ხატვის გაკვეთილებს ესწრებოდა (არაა გამორიცხული რომ აქ გაეცნო ვასილი და აქედან გამომდინარე ბალანჩივაძეების ოჯახის წევრებიც). 1901 წელს ნიკოლოზ სერგეის ძე მხატვრობის მოყვარულთა მოსკოვის საზოგადოებაში გაწევრიანდა, სწორედ აქ გაიცნო იგი ცნობილმა კოლექციონერმა პავლე ტრეტიაკოვმა და შეისყიდა კიდევ მისი ერთი ნამუშევარი. ამ გარიგებას მატვევის დიდი აღიარება მოჰყვა. ამ ეტაპზე ძალიან ძნელია გადაჭრით იმის მტკიცება, რომ ხელოვნების სასახლეში დაცული ნახატები სწორედ ნიკოლოზ სერგეის ძეს ეკუთვნის, ამიტომ აღნიშნული თემა მომავალ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

მუზეუმში ბალანჩივაძეების საგვარეულოსთან დაკავშირებული კიდევ რამდენიმე საინტერესო ნამუშევარია დაცული, მათგან ყურადღების ღირსია ცნობილი მხატვრის ირაკლი მოსეს ძე თოიძის (1902–1985) ჯორჯ ბალანჩინის პორტრეტი და ვასილ შუხაევის (1887–1973) მიერ შექმნილი ანდრია ბალანჩივაძის ბრწყინვალე ნამუშევარი. აღნიშნული ნამუშევრები 18 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო დღეს, ჯორჯ ბალანჩინის სახელობის საგამოფენო დარბაზში იქნება წარმოდგენილი.



# შეხვედრები საქართველოში

## Meetings in Georgia

ჯორჯ ბალანჩინი საქართველოს პირველად 1962 წელს, საკუთარ საბალეტო დასთან ერთად, ეწვია. თავდაპირველად ქორეოგრაფი, ძმასთან – ანდრია ბალანჩივაძესთან ერთად ქუთაისს ეწვია, იყო გურიაში (ოზურგეთის რაიონი), თბილისში გაიმართა „ნიუ იორკ სითი ბალეს“ გასტროლი. მეორედ თბილისში იგი, ათი წლის შემდეგ, 1972 წელს კვლავ საკუთარ კომპანიასთან ერთად ჩამოვიდა. თანამედროვეთა მოგონებებსა და იმდროინდელ პრესაში შემორჩა მწირი, მაგრამ საინტერესო ინფორმაცია – ბალანჩინთან შეხვედრის დეტალები, თავად ჯორჯ ბალანჩინის რამდენიმე ინტერვიუ საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებზე. ქვემოთ გთავაზობთ ამ პუბლიკაციებს, რომელთაც კარგად ატყვიათ საბჭოთა იდეოლოგიის ხელი, მაგრამ საინტერესოდ მივიჩნით მათი გამოქვეყნება ბალანჩინის შემოქმედებითი ისტორიისათვის. წერილებს თან ერთვის უნიკალური ფოტომასალა, რომელიც პირველად ქვეყნდება.

George Balanchine first visited Georgia in 1962 with his company. The choreographer traveled with his brother Andria Balanchivadze to the city of Kutaisi and to the Western region of Guria (the Ozurgeti District). The New York City Ballet's tour was held in the capital city of Tbilisi. Balanchine returned to Georgia ten years later, again with his company. Contemporary recollections and the press reports of that time include scarce but interesting information about his meetings and letters on his impressions on the travel. Below we present these publications, which, even though they clearly feature an influence of the Soviet ideology, we still considered interesting for the subject of Balanchine's artistic history. The articles are accompanied by some previously unpublished photographs, printed for the public for the first time.

### შეხვედრები ქუთაისში

1962 წლის შემოდგომაზე პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტიდან ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დარეკეს; უნდოდათ ექსკურსია გამოჩენილი ამერიკელი ბალეტმასტერის ჯორჯ ბალანჩინისათვის გელათში. გელათის სამონასტრო კომპლექსი მაშინ ქუთაისის მუზეუმს ექვემდებარებოდა. ექსკურსიისთვის შეარჩიეს მუზეუმის ახალგაზრდა თანამშრომელი ლერი სულამანიძე და ქალაქკომის იდეოლოგიური განყოფილების კურატორთან ერთდ შავი ავტომანქანით გელათში აიყვანეს. მალე გამოჩნდნენ ძმები – ანდრია, ჯორჯი და აპოლონი. ქუთაისელ ნახევარძმას და მასპინძელს, ყოფილ არქიდაკონს და დიდებულ მგალობელს, ადგილობრივი ხელისუფლებისგან ათვალისწინებულ აპოლონს უხერხულად ეჭირა თავი გამოჩენილი და სახელოვანი ძმების სიახ-

ლოვის. ისინი ბრუნდებოდნენ „მწვანე-ვაჯილას“ სასაფლაოდან, სადაც ქალაქის მუსიკალურ საზოგადოებასთან ერთად ყვავილებით შეამკეს მამის – კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძის საფლავი.

იგონებს ისტორიკოსი, სპორტის მუზეუმის დირექტორის მოადგილე **ზურაბ ჯავახიძე**: „1962 წელს ქუთაისის მუზეუმის დირექტორის მოადგილედ ვმუშაობდი. დაგვიბარეს ქუთაისის ქალაქკომის მდივანთან შოთა კობახიძესთან, მე და დირექტორი მიხეილ ნიკოლეიშვილი და გვითხრეს, რომ ორ დღეში ჩამოვა ჯორჯ ბალანჩინი და უნდა ვუმასპინძლოთო. გელათის არქიტექტურული ანსამბლი მაშინ მუზეუმის ფილიალს წარმოადგენდა. ჩვენ გადავწყვიტეთ მუზეუმის და გელათის კომპლექსის დათვალიერება შეგვეთავაზებინა მისთვის. შეგვეძლო წაგვეყვანა ბანოჯაშიც, სახლში სადაც ბალანჩივაძეები ცხოვრობდნენ.“

ბალანჩინის გელათში დავხვდით მუზეუმის დირექტორი მიხეილ ნიკოლეიშვილი, ისტორიკოსი პეტრე ვაჭრაძე და მე. უშიშროებამ წინასწარ გავაფრთხილა, რომ მასთან ზედმეტი კონტაქტი და დალაპარაკება აკრძალული გვქონდა. ბალანჩინს ძმა ანდრია, ერთი ქალბატონი და კიდევ ორი-სამი კაცი ახლდა. დელეგაციაში ასევე იყვნენ ქალაქის მაშინდელი პირველი ხელმძღვანელები და უშიშროების წარმომადგენლები.

გელათის მთავარ ტაძარში რომ შევიდა და ფრესკებს უყურებდა, მუხლი მოიყარა.



შევატყვე რომ ცრემლი მოადგა თვალებზე. გვითხრა: – „სად არ ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი მხატვრობა არსად მინახავსო“. ჩვენ გავაცანით გელათის ისტორია. მიხეილ ნიკოლეიშვილი ესაუბრა დავით აღმაშენებელზე, ქუთაისის ისტორიაზე. მის მოუსვენარ ბუნებაზე ეტყობოდა, რომ ეს საუბარი მასზე მოქმედებდა, საინტერესო იყო და ხარობდა რომ საკუთარ სამშობლოში ჩამოვიდა. ყველაფერი აინტერესებდა. გელათში ქვებს ხელს უსვამდა, დიდხანს აკვირდებოდა ორნამენტებს. შემდეგ შთაბეჭდილებათა წიგნში ჩანაწერის გაკეთება დაიწყო: „Приятно было посетить это место. Горжусь, что я имеретинец, Дж. Баланчин“ და იმერტინეც ვ-თი დაწერა. მე შევუსწორე რომ არა ემერეთი, არამედ იმერეთი ქვიოდა ამ მხარეს. ეს საუბარი და დავალიერება საათნახევარი გრძელდებოდა. საუბრობდა მხოლოდ მიხეილ ნიკოლეიშვილი, თავად ბალანჩინი რამდენიმე შეკითხვას უსვამდა.

დაინტერესდა ქუთაისის თეატრალური ცხოვრებით. მაშინ ოპერის თეატრი ქუთაისში არ გვქონდა, შემდეგ გაიხსნა. ვესაუბრეთ ქალაქის მუსიკალურ ტრადიციებზე, მელიტონ ბალანჩივადის და ბაქარია ფალიაშვილის ღვაწლზე.

ძალიან უნდოდა სოფელ ბანოჯაში წასვლა, არ წაიყვანეს, არ მისცეს ამის უფლება. კეთილმოწყობილი არ იყო, მამისეული სახლიც არ იდგა და ალბათ ამიტომ“.

ჩანაწერა ირმა ჭოლაძემ

## MEETINGS IN KUTAISI

Georgia’s Museum of History and Ethnographics received a call from Kutaisi City Committee of the Communist Party in the Fall of 1962. The museum was asked to prepare a tour agenda for visiting the Gelati Monastery Complex – under Kutaisi administration back then – for the famous American ballet master George Balanchine. The museum selected its young employee Leri Sulamanidze for the task. He accompanied the City Committee’s Ideological Department Curator in a black vehicle to Gelati, where soon brothers Andria, George and Apolon appeared. The latter – the half-brother of the two, and the host for the occasion – was a former archdeacon and did not enjoy positive standing with the local government. Feeling awkward alongside his famous brothers, he accompanied them from the Mtsvanekvavila Cemetery of the city, where the musical society of Kutaisi brought

wreaths to the grave of their father, composer Meliton Balanchivadze.

Historian Zurab Javakhadze, Deputy Director of the Museum of Sport, recalls: “I worked on the position in 1962. Along with director Mikheil Nikoleishvili I was summoned to the Kutaisi City Committee Secretary Shota Kobakhidze, who told us we were tasked with hosting George Balanchine, who was to arrive in two days’ time. The Gelati architecture complex represented a branch of the museum. We decided to take the guest to visits to the museum and the Gelati Complex, while we could also organize a visit to the village of Banoja, where the Balanchivadzes family resided.

We met Balanchine in Gelati. I was present along with director and historian Petre

Vatchradze. The security staff warned us not to speak more than necessary to Balanchine, who was accompanied by his brother Andria, a lady, and two or three other persons. The delegation also included the city administration heads and security staff.

Entering the main Gelati monastery and looking at the icons, Balanchine knelt down and I noticed tears in his eyes. “I have been to many places, but nowhere have I seen such painting”, he said. We told him the story of Gelati, with Mikheil Nikoleishvili speaking about King David Aghmashenebeli and the history of the City of Kutaisi. You could notice on his restless character that he was interested in conversation and happy to be back to his homeland. He spent much time looking at ornaments and made notes to the local journal for impressions in Russian: “It was pleasing to see the place. Proud to be from the Imereti region. G. Balanchine”. He spelled “Imereti” with an “E”, and I put to him the correct version. The talk and sightseeing continued for an hour and a half, with only Nikoleishvili speaking and Balanchine asking questions from time to time.

He asked about theatre life in Kutaisi. The Opera Theatre of Kutaisi did not exist back then, so we spoke to him about the city’s musical traditions and the work of Meliton Balanchivadze and Zakaria Paliashvili.

He really wanted to go to Banoja, but was not allowed due to the state of infrastructure



and the fact that his parents’ house was not there any more.”

ჯორჯ ბალანჩინი და ანდრია ბალანჩივაძე მამის საფლავში. ჟუთაისი  
GEORGE BALANCHINE, ANDRIA BALANCHIVADZE VISITING THEIR FATHER’S GRAVE. KUTAISI  
1962

Recorded by Irma Tcholadze



### შეხვედრები გურიაში

ქუთაისიდან ბალანჩინი ხელისუფლებამ გურიაში, იმ დროს მახარაძის, ამჟამად ოზურგეთის რაიონში მიიწვია. ოზურგეთის კულტურის სახლის და რამდენიმე საოჯახო არქივში ამ სტუმრობის ფოტოებია დაცული, რამდენიმე მოგონების ჩაწერაც მოვახერხეთ.

მახარაძეში ჯორჯ ბალანჩინი საკუთარ ძმასთან, კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძესთან ერთად ჩასულა. ქალაქის ცენტრში ცნობილი ჭადრების ბაღს მამინ სპეციალური ქვის ღობე ერტყა, ბილიკები კი დაფშვნილი წითელი აგურით იყო მოკირწყლული. ბალანჩინს შეუღია რკინის მოძრავი ჭიშკარი და წითელი ბილიკების დანახვისას უხუმრია – „აქ ალბათ, მარტო კომუნისტები დადიანო“.

თეატრალურ მოედანზე 1982 წლამდე,

სანამ ბრეჟნევის მე-18 არმიის მუზეუმს არ ააშენებდნენ (ახლა ისტორიული მუზეუმი იქ და წინ იუსტიციის სახლიც ააშენეს), ერთი ლამაზი და ქალაქის არქიტექტურისათვის კოლორიტული რესტორან „იზაბელას“ შენობა იდგა. შეხვედრა აქ შემდგარა. როგორც თავად მისტერ ბის მოგონებებიდან ჩანს, სწორედ ამ შეხვედრას მოუხდენია მასზე დიდი შთაბეჭდილება.

იმ მოცეკვავეთაგან, რომლებმაც სპეციალურად შეასრულეს ბალანჩინისთვის ცეკვა „ხორუმი“, ერთ-ერთია ავთანდილ ნაცვლაძე. იგი იგონებს, რომ ამ ცეკვის ნახვის სურვილი თავად ბალანჩინს ჰქონია. იგი თითოეულ ილეთს ინიშნავდა. თვითონაც ჩამდგარა მოცეკვავეთა შორის და ასე სწავლობდა მოძრაობებს. ეს ყველაფერი ორი საათი გაგრძელდა. აღფრთოვანებას ვერ ფარავდა ბალანჩინი, რომელმაც მოგვიანებით, საქართველოდან წასვლისას განაცხადა: „არასოდეს არ

დამავიწყდება ის განსაკუთრებული გულ-თბილობა, როგორითაც სტუმართმოყვარე მახარაძელებმა მიმიღეს. მასპინძლობას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ყველაზე ძვირფასი, რითაც სუფრაზე გამიმასპინძლდნენ, ეს იყო გურული სიმღერები და ცეკვები. ღრად ჩამრჩა მესხიერებაში „კრიმანტული“... დარწმუნებული ვარ – როცა აქაური ახალგაზრდა ეროვნული ტანსაცმლით იმოსება, მაშინ იგი უფრო მეტ პატივს სცემს თავის თავს; თავის ეროვნულ ღირსებებს; ვფიქრობ, აქედან მომდინარეობს ცეკვის ხასიათიც – ამაყი, თამამი, გადაამწყვდები... ეს ცეკვები მშვენიერი ყვავილია, მახარაძეში კი ამ ყვავილთა წარმტაცი თაიგული ვნახე. განა ვინმეს მოსწყინდება მშვენიერი ყვავილებით დატკობა?!“

ფოტობიუტის ალუბეჭდავს ეს ისტორიული შეხვედრა მახარაძეში. კულტურისა და თავისი საქმის ერთგულ ადამიანებს კი – ჩვენამდე შემოუნახავთ.

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში  
MEETINGS AT THE OZURGETI STATE THEATRE  
1962



## MEETINGS IN GURIA

The Soviet authorities selected the City of Makharadze (now Ozurgeti) of the Guria region as Balanchine’s next destination after Kutaisi. The Ozurgeti Culture House and a number of family archives have photographs of the visit, while we also recorded stories from those who had memories of the occasion.

Balanchine arrived in Makharadze along with his composer brother Andria. The Plane Tree Garden in the city center had a stone wall, while paths were marked with red brick pebbles. Balanchine opened the metal door to the park and – seeing the red pathways –

joked that “probably only Communists” were allowed in.

Before it was replaced with Brezhnev’s Museum of the 18th Army (now the Museum of History, with a Public Service Hall building opposite), the Theatre Square of the city featured a cozy restaurant Izabela, where the main meeting took place. Balanchine was left with great impressions of the occasion.

Avtandil Natsvlatze was among the dancers who performed *the Khorumi* for Balanchine. He recalled that it was Balanchine who asked if he could see this particular dance, and took notes on every movement, even stood among the dancers to learn them. The occasion lasted for two hours, and the ecstatic Balanchine said before departing from Georgia: “I will never forget the special warm welcoming of Makharadze locals. Their hospitality was limitless, but the most precious of what I was offered were local songs and dances. *The Krimantchuli* performance etched deep in my memory... I believe when young locals dress in national costumes, they feel special respect to themselves and their national traits; thus the proud, daring and decisive manner of their dance... if a dance is a wonderful flower, I saw a bouquet of them in Makharadze. Who would get bored of looking at beautiful flowers?!”

Photo lens recorded this historic meeting in Makharadze, while those enthusiastic about culture and devoted to their job preserved the story for us.



„...და, აი, განხორციელდა ჩემი დიდი ხნის სურვილი, დიდი ხნის ოცნება — სიცოხლის ორმოცდამეჩვიდმეტე წელს, როგორც იქნა, ფეხი დაგადგი მამაჩემის შშობლიურ მიწაზე, ორმოცი წლის განშორების შემდეგ ისევ შევხვდი ჩემ ძმებსა და ნათესავებს!

ძნელია გადმოგცეთ ის სიხარული და მღელვარება, რასაც საქართველოში ყოფნის დღეებში განვიცდიდი. და ეს არც არის გასაკვირი.

თქვენ შთაბეჭდილებებზე მეკითხებით? კეთილი, გიპასუხებთ: როცა ჩვენი დროის კულტურული ადამიანი სხვა ქვეყანაში მიდის, მან უკვე წინასწარ იცის, თუ რას ნახავს იქ. ვთქვათ, მაგალითად, როცა იგი პარიზს ესტუმრება, რა თქმა უნდა, დაათვალიერებს ეიფელის კოშკს, დიდებულ ვერსალის სასახლეს. მაგრამ განსაკუთრებული გაკვირვების გრძობას არ განიცდის, რადგან წინასწარ იცოდა, რომ პარიზში ნახავდა ამ კოშკს, ამ სასახლეს.

მეც, რასაკვირველია, წინასწარ ბევრი რამ ვიცოდი თბილისზე, საქართველოზე. ვიცოდი წიგნებიდან, პრესიდან, ზეპირი გადმოცემებიდან, მაგრამ ყოველივე იმან, რაც აქ სინამდვილეში ვნახე, გამოგიტყდებით, პირდაპირ გამოაცხადებთ. თბილისი — ეს არის ტემპარატად თანამედროვე ქალაქი თავისი ყოფაცხოვრებით, თავის არქიტექტურული ნაგებობებითა და იერით, ლიტერატურითა და ხელოვნებით, და, რაც მთავარია და ჩემვის ესოდენ სასიხარულოა, თავისი კულტურული მოსახლეობით.

ვერ გამოვთქვამ, როდენ სასიამოვნო და ძვირფასია ჩემთვის, რომ აქ სიყვარულით ინახავენ და პატივს სცემენ მამაჩემის ხსოვნას. მუსიკალურ დაწესებულებებში კედლებზე კიდია მისი სურათები, გამოცემულია წიგნები მის შემოქმედებაზე, სასწავლებლები მის სახელს ატარებენ. ყოველივე ამისათვის თავს დაბლა ვხრი მთელი ქართველი ერის წინაშე!

ვიყავი ქუთაისში, ვინახულე მამის საფლავი. გულისხმიერმა ქუთაისელებმა თავიანთი ქალაქი გამაცნეს. ძალიან ბევრი რამ არის აქ მიმზიდველი და მშვენიერი! მოწმე ვაგხდი საინტერესო კონტრასტებისა — უძველესი ბაგრატიანე ტაძრის ნანგრევებისა და უამთა სიავისაგან ფერგადასული ძველებური ფრესკების გვერდით ჩქეფს მძლავრი ინდუსტრიის მავსიცემა.

ვესტუმრე გურიასაც. არასოდეს არ დამავიწყდება ის განსაკუთრებული გულთბილობა, როგორითაც სტუმართმოყვარე მახარაძელებმა (ახლანდელი ოზურგეთი — რედ.) მიმიღეს. მასპინძლობას საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ ყველაზე ძვირფასი, რითაც სუფრაზე გამიმასპინძლდნენ, ეს იყო გურული სიმღერები და ცეკვები.

ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში „კრიმანჭული“. როდენ დიდ და ღრმა კულტურას უნდა ფლობდეს ხალხი, რომ შექმნას ასეთი არნახული პოლიფონია! ნამდვილად საოცარია! მაგრამ ჩემზე მაინც, როგორც ქორეოგრაფზე, ნამდვილად დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხურმა ცეკვებმა. ყველას თვალბეჭდვით შევცქეროდი, რომ არ გამომჩინებოდა არც ერთი მოძრაობა, არც ერთი შუსტი, არც ერთი პა.

დარწმუნებული ვარ — როცა აქაური ახალგაზრდა ეროვნული ტანსაცმლით იმოსება, მაშინ იგი უფრო მეტ პატივს სცემს თავის თავს, თავის ეროვნულ ღირსებებს; ვფიქრობ, აქედან მომდინარეობს ცეკვის ხასიათიც — ამაყი, თამამი, გადამწყვეტი...

უკვე ვთქვი და ახლაც მინდა გავიმეორო, რომ ეს ცეკვები მშვენიერი ყვავილია, მახარაძეში კი ამ ყვავილთა წარმტაცი თაიგული ვნახე. განა ვინმეს მოსწყინდება მშვენიერი ყვავილებით ტკბობა?! სამწუხაროდ, ბევრი დრო არ მქონდა, თორემ საათობით დავვადებოდი და ვუყურებდი ამ მომხიბლავ ცეკვებს.

აქ მიღებულმა დიდმა შთაბეჭდილებებმა ახალი, ჩემთვის საინტერესო მუშაობისათვის შთამაგონეს. შესაძლებელია, ეს დიდი გამბედაობა იქნება ჩემი მხრით, მაგრამ გადავწყვიტე ნიუ-იორკში დავდგა ბალეტი ქართულ თემებზე. მუსიკას ბალეტისათვის დამიწერს ჩემი ძმა — ანდრია ბალანჩინაძე. მომავალი ნაწარმოების გეგმები ჩვენ უკვე დაწვრილებით განვიხილეთ. ჩვენი ჩანაფიქრით ბალეტში უნდა აისახოს საქართველოს ყველა მხარის ხალხური მუსიკა და ცეკვები. ეს იქნება ქორეოგრაფის ენით გადმოცემული ქართული სიმფონია“.

# ჯორჯ ბალანჩინი: „ბედნიერი ვარ, რომ ვნახე საქართველო!“

„კომუნისტი“, 29 ნოემბერი, 1962 წელი

შხმევერსა საბარტომელოს კულტურის მინისტრთან ოთარ თაქთაქიშვილთან  
MEETING OTAR TAKTAKISHVILI, MINISTER OF CULTURE OF SOVIET GEORGIA  
1972



# George Balanchine: “Happy to see Georgia”

THE COMMUNIST NEWSPAPER,  
NOVEMBER 29, 1962

“My dream finally came true when, fifty-seven years since my birth, I finally stepped on my father’s home soil and met my brothers and relatives after forty years away!

It is hard to convey the joy and excitement I felt during my stay in Georgia. And it is not surprising.

You are asking me about my impressions. I can begin by saying that when cultured individuals travel to other countries, they know what to expect. For instance, if they are traveling to Paris, they know they will see the Eiffel Tower and the grand Palace of Versailles. But there will not be a sense of much surprise, as they had expected to see these sites.

Obviously, I also knew much about Tbilisi and Georgia before traveling there. I had learned things from books, the press, and verbal stories. But I must admit that what I saw there frankly shocked me. Tbilisi is a truly modern city with its daily life, architecture, appearance, literature, arts, and, most importantly, its cultural population, which I was especially happy to see.

I can not express enough my joy at seeing the love and respect paid to my father’s memory. His photographs are on the walls of music colleges, books have been published about his work, and schools bear his name. I bow down to the whole of the Georgian nation for this!

I visited Kutaisi to see my father’s grave. The locals were welcoming and showed me around the city, where so many things draw with their beauty. I became witness to an interesting contrast of the ruins the ancient

Bagrati Cathedral and faded old icons being flanked by powerful modern industry.

I also traveled to Guria. I will never forget the special warm welcoming of Makharadze (now Ozurgeti—editor’s note) locals. Their hospitality was limitless, but the most precious of what I was offered were local songs and dances.

*The Krimantchuli* performance etched deep in my memory. What deep culture must a nation possess to be able to create this incredible polyphony! It is truly remarkable! But as a choreographer I was most impressed with the unforgettable folk dances. I kept looking into everybody’s eyes so that I would not miss a single movement or pas.

I believe when young locals dress in national costumes, they feel special respect to themselves and their national traits; thus the proud, daring and decisive manner of their dance...

I have said and will reiterate that if a dance is a wonderful flower, I saw a bouquet of them in Makharadze. Who would get bored of looking at beautiful flowers?! Had my time not been limited I would have spent hours looking at these charming dances.

The impressions have inspired me to create a new work on something of interest to me. This might be a bit daring of me, but I have decided to stage a ballet on Georgian theme in New York. My brother Andria Balanchivadze will create the score for the piece. We went through details of a plan for the piece, and we plan to show folk music and dances from all parts of Georgia in this ballet, which will be a Georgian symphony told in the language of choreography.

ჰორჯ ბალანჩინი და ვახტანგ ჭაბუკიანი  
GEORGE BALANCHINE, VAKHTANG CHABUKIANI

ჰორჯ ბალანჩინი კობა გურულიის  
სახელოსნოში  
GEORGE BALANCHINE AT THE KOBA GURULI  
WORKSHOP



„საცეკვაო ხელოვნება უსაზღვრო შესაძლებლობათა რწმენაა. ცეკვის მუსიკასთან კავშირს შეუძლია მოახდინოს უდიდესი ესთეტიკური ზემოქმედება. ამიტომ ყოველთვის მუსიკაა ჩემი საწყისი და მიზნად ვისახავ ცეკვაში რაც შეიძლება სრულად გამოვხატო იგი. საცეკვაო შესაბამისობას ვეძებ არა მარტო რითში, მეტრში, მუსიკის ჰარმონიაში, არამედ ინსტრუმენტის ტემბრშიც კი. მუსიკალურ პოლიფონიას ვაქცევ საცეკვაო პოლიფონიად...

ძალიან მიხარია, რომ ბედნიერება მხვდა და მეორედ ჩამოვედი საქართველოში, ჩემი მშობლების სამშობლოში, რომ ვნახე ჩემი ძმა ანდრია ბალანჩივაძე, ნათესავები და მეგობრები. სასიამოვნოა, რომ ჩემი ძმისწული ჯარჯი მამა-პაპის კვალს გაჰყვა და კომპოზიტორი გახდა, ხოლო ძმისშვილი ცისკარა ნიჭიერი ბალერინაა.

„ნიუ იორკ სთი ბალეს“ შემადგენლობა ყოველწლიურად ხალისდება. იმ შემადგენლობიდან, რომელიც თქვენ ათი წლის წინათ ნახეთ, მხოლოდ სამი შემსრულებელი დარჩა. სცენაზე გამოსასვლელად ბავშვების სწავლებას ვიწყებ რვა წლის ასაკიდან. ვცდილობ ყოველთვის ახალი რეპერტუარი მქონდეს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უცილობელი სურვილი მაქვს შევქმნა რაღაც ახალი, ისეთი, რაც არავის შეუქმნია. ყველაფერი მუსიკაზე და... განწყობაზე დამოკიდებული. ვცდილობ, რომ „მუსიკა ბადებდეს ცეკვას, ხოლო თვითონ ცეკვა ბადებდეს მუსიკას“. ეს ჩემი სიტყვები არაა: ისინი ერთმა ჩვენმა კრიტიკოსმა თქვა, როცა ბალეტში მუსიკისა და ცეკვის ურთიერთშერწყმას აღნიშნავდა. ამიტომ ვცდილობ, რომ მუსიკა მხოლოდ ცეკვით გამოიხატოს. ჩვენი იდეალია „ცეკვა, რომელსაც ისმენ და მუსიკა, რომელსაც ხედავ“.

მხარებს მქუხარე ტაში, რადგან ვიცი, რომ საქართველოს ცეკვით ვერ გააკვირვებ. ცეკვის ტრადიცია აქ საუკუნეების სიღრმეში იწყება. ნიუ-იორკში ვნახე გამოსვლა თქვენი შესანიშნავი ანსამბლის რამიშვილის და სუბიშვილის ხელმძღვანელობით. ძალიან მომეწონა. რა სისწრაფეა, რა სიზუსტეა. ტეპერამენტისა და გრაციის შერწყმა! აუცილებლად და ძალიან დაჟინებით ვთხოვ ჩვენს დირიჟორს (ალბათ უნდა იყოს იმპრესარიოს. როგორც ჩანს რედაქციის შეცდომაა), რომ ჩვენთან კიდევ ერთხელ მოიწვიოს ეს შეუდარებელი კოლექტივი. ახლა, როცა თბილისში ვარ, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გავიცნო, უფრო სწორად მოვისმინო, ჩემი ძმის ანდრია ბალანჩივაძის ზოგიერთი

ნაწარმოები და კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“. უნდა აღვნიშნო, რომ დიდი ხანია ველოლიავები იდეას — ქართულ მუსიკაზე დავდგა ცეკვები. ჩემდა სამწუხაროდ, თქვენ კი ნუ მოგერიდებათ, შეგიძლიათ მითხრათ, სირცხვილი თქვენით. დღემდე ცოტა ვიცი მამაჩემის ნაწარმოებებიც კი. სიტაბუკიდან შემომრჩა მისი მხოლოდ ორი რომანსი და საეკლესიო საგალობლის რამდენიმე გადამუშავებული ნიმუში. ახლა ვცდები თან წავიღო ოპერა „დარეჯან ცხიერის“ კლავირი მაინც.


არ ვიცი რა მიზეზი იყო, მაგრამ ამერიკაში მხოლოდ უკანასკნელ წლებში შემოაღწია ქართული ხელოვნების ნაწარმოებებმა — გაჩნდა ქართული სიმღერების გრამფირფიტები, ფერწერა, ჭედურობა და უძველესი ხატებიც კი. ახლახან გამოჩნდა აგრეთვე შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანის“ ინგლისური თარგმანი. სიტყვამ მოიტანა და ამ პოემაზე უნდა ვთქვა, რამდენიმე წლის წინათ მონტეკარლოში დადგეს ბალეტი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. ბალეტს რატომღაც „რუსთაველი“ ერქვა. მე იგი არ მინახავს, მე საერთოდ წინააღმდეგი ვარ ასეთი დადგმებისა. რუსთაველის პოემა ხომ არაა მარტო დიდი პოეზია, არამედ ღრმა ფილოსოფიაც არის. ეს ქართველი ადამიანის სულია, სულის ცეკვა კი შეუძლებელია.

სხვა საქმეა როცა ცეკვას ეროვნულ მუსიკაზე დგამ. ვფიქრობ მხოლოდ ასეთნაირად შეიძლება გადაწყდეს ქართულ მუსიკაზე ბალეტის დადგმის პრობლემა. ეს ძალიან ძნელი საქმეა, და ყველაფერს გავაკეთებ, რომ შევასრულო. მე რომ ქართველი ვარ, ეს არ არის საკმარისი, საჭიროა ღრმად ჩასწვდე, შეისწავლო და გაიგო ქართული მუსიკა, რომ არ გააყალბო იგი, როცა ცეკვის ენაზე თარგმნი. სხვანაირად არ შეიძლება.

აი დღეს მე მომცეს ქართული სამხიანი მუსიკის ნიმუშების ნოტები. ეს ძალიან საინტერესოა. ბევრს ვფიქრობ ქართულ ხალხურ პოლიფონიაზე. დიდმა კომპოზიტორმა და ჩემმა მეგობარმა ივორ სტრავინსკიმ მაღალი შეფასება მისცა მას. ქართული მრავალხმიანობა ისეთი შედეგურია, რომელსაც ტოლი არა ჰყავსო, წერდა იგი. თქვენ ალბათ მიაქციეთ ყურადღება, რომ ჩემი ბალეტები ხშირად პოლიფონიურ საძირკველზე შენდება. ესეც არის კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ სულ უფრო მიძლიერდება სურვილი — უახლოეს ხანში განვახორციელო დადგმა ქართულ მუსიკაზე“.

# ჯორჯ ბალანჩინი: მუსიკა ცეკვა, ცეკვა-მუსიკა

„კომუნისტი“, 8 თებერვალი, 1972 წელი



# George Balanchine: “Music is dancing, and dancing is music”

THE COMMUNIST NEWSPAPER,  
OCTOBER 8, 1972


“The art of dance is a belief in limitless possibilities. The connection of dance and music can result in greatest aesthetic effect, therefore music is always my basis and I always aim to express it as fully as possible through dance. I seek compatibility of dance not only in rhythm, timing, and musical harmony, but even in the tone of an instrument. I transform musical polyphony into dancing polyphony...

I was very happy to travel to Georgia – my parents’ homeland – for the second time, and to have been able to see my brother Andria Balanchivadze, my relatives and friends. It is pleasing to see my nephew Jarji follow the footsteps of his father and grandfather and become a composer, while my niece Tsiskara is a talented ballerina.

The New York City Ballet roster is renewed annually. Of the troupe you saw ten years ago

composer Aleksis Matchavariani. I must note I have been into the idea of staging dances on Georgian music for a long time. You could berate me for this long delay. I know very few even of my father’s pieces. I only have two romances and reworks of church canticles. I will try to take back with me the score for the opera *Darejan the Insidious* this time.

I am not aware for the reason of the delay, but only in recent years have examples of Georgian art arrived in the United States – folk song vinyls, painting, forging and even ancient icons are available now. A translation of the poem *The Knight in the Panther’s Skin* by Shota *Rustaveli* in English has also appeared. By the way, there was a ballet staged on the theme in Monte Carlo years ago, titled *Rustaveli* for some reason. I have not seen it, and usually I am against such stagings – this poem is not just poetry but also a deep subject of



ბონდო დვალისვილის ფოტოები  
PHOTOS BY BONDO DVALISHVILI



only three performers remain. I begin training children for stage at the age of eight. I try to keep the repertory fresh, but not in the way of attempting to create something that has not been done before – everything depends on music... and mood. I try to have “music create dance, while dance creates music”. These are not my words, but of a critic who was noting on confluence of music and dance. So I try to have only dance express music. Our perfection can be expressed as “dance you hear and music you see”.

I was happy to see thunderous applause on our tour to Georgia, because I know you can not surprise Georgians with dance. The tradition has emerged there centuries ago. I saw New York performances of the brilliant folk dance company managed by Ramishvili and Sukhishvili, and I was very impressed. What speed, what precision, what combination of temperament and grace! I will definitely and very assertively ask our conductor (probably impresario – might be a mistake of editors) to invite this incomparable troupe again. Now that I am in Tbilisi I would like to get to know, or hear, certain works by my brother Andria Balanchivadze, and the ballet *Othello* by

philosophy. It is a sample of a Georgian soul, and soul you can not dance.

It is different when you stage a dance on national music. I believe only this way can the challenge of staging a ballet on Georgian music can be overcome. This is a very difficult task, and I will do everything in my powers to achieve it. My Georgian roots are not enough for this – you need to reach the depths of, and study the subject of Georgian music, to avoid having a false result while translating it into the language of dance. There is no other way around it.

I was given a score for Georgian three-voice polyphony, and it is very interesting. I spend much time thinking about the Georgian polyphony, which has been given high assessment by great composer and my friend Igor Stravinsky. He said the Georgian polyphony was a masterpiece without comparison. You might have noticed my ballets are often built on the basis of polyphony. This is another reason my desire to stage a work on Georgian music in the nearest future becomes stronger as time goes by.



სახალწლო გალა-კონცერტი

2013 წლის 29 დეკემბერს, თბილისის საკონცერტო დარბაზში, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სახალწლო გალა-კონცერტი გაიმართა. კონცერტში პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი და სამღვარვარეთ მოღვაწე ქართველი საოპერო მომღერლები – თამარ ივერი, მზია ნიორაძე, ნინო სურგულაძე, ნანა ქავთარაშვილი, ქეთევან ქემოკლიძე, ბადრი მაისურაძე, შალვა მუქერია, თეატრის ორკესტრი, საბალეტო დასი, ასევე თეატრის სოლისტები სალომე ჯიქია და სულხან გველესიანი მონაწილეობდნენ. გალა-კონცერტს გიორგი ჟორდანიას და ჯანლუკა მარჩანოს დირიჟორობდნენ. შესრულდა როსინის, დონიცეტის, ვერდის, პონკიელის, კატალანის, შტრაუსის, სენ-სანსის, მასნეს, ადანის, ჩაიკოვსკის, გლაზუნოვის ნაწარმოებები. საბალეტო დასმა შესრულა პა დე დე „მაკნატუნადან“ (ნინო სამადაშვილი, რუბენ მურადიანი), ფრაგმენტები „რაიმონდადან“ (ნინო სამადაშვილი, რიო კატო), ტაისი პა დე დე (ეკა სურმავა, დავით ანანელი), პა დე დე ბალეტიდან „კორსარი“ (ნუსტა ჩეკურაშვილი, რიო კატო). სენ-სანსის „მომაკვდავი გედი“ გალა-კონცერტზე ნინო ანანიაშვილმა იცეკვა. სახალწლო კონცერტი დასრულდა „ბრინდიზით“ ჯ. ვერდის ოპერიდან „ტრავიატა“. სახალწლო გალა-კონცერტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.



THE NEW YEAR GALA CONCERT

On December 29 the Tbilisi Concert Hall hosted the Tbilisi Opera and Ballet Theatre’s New Year Gala Concert that featured prima ballerina Nina Ananiashvili and Georgian opera singers from international stages – Tamar Iveri, Mzia Nioradze, Nino Surguladze, Nana Kavtarashvili, Ketevan Kemoklidze, Badri Maisuradze, Shalva Mukeria. The evening also saw participation of the theatre orchestra, ballet company and theatre soloists Salome Jikia and Sul Khan Gvelesiani. The orchestra was conducted by Giorgi Jordania and Gianluca Marciano. The evening program included pieces by Gioachino Rossini, Gaetano Donizetti, Giuseppe Verdi, Amilcare Ponchielli, Alfredo Catalani, Richard Strauss, Camille Saint-Saëns, Jules Massenet, Adolphe Adam, Pyotr Tchaikovsky and Alexander Glazunov. The company performed the pas de deux from *The Nutcracker* (Nino Samadashvili, Ruben Muradyan), fragments from *Raymonda* (Nino Samadashvili, Ryo Kato), *the Thais* pas de deux (Eka Surmava, David Ananeli) and the pas de deux from *Le Corsaire* (Nutsa Chekurashvili, Ryo Kato). Nina Ananiashvili danced *The Dying Swan* for the the gala performance, while the concert was concluded with the Brindisi from the opera *La Traviata* by Giuseppe Verdi. The gala was organized with the support of the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia.

„მაკნატუნა“ ისპანეთში

2013 წლის 18 -23 დეკემბერს ესპანეთში საბალეტო დასის მორიგი გასტროლი გაიმართა. პეტრე ჩაიკოვსკის ორმოქმედებიანი ბალეტი „მაკნატუნა“ ქალაქებში – ლეონში, მედინა დელ კამპოში, მურსიაში, ტერასასა და სარაგოსაში წარმოადგინეს. ტერასაში გამართულ საბალეტო საღამოზე საბალეტო დასმა ასევე წარმოადგინა ერთმოქმედებიანი ბალეტები: „სერენადა“ და „ექვსი ცეკვა“. საღამოზე პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილმა „მომაკვდავი გედი“ იცეკვა.

THE NUTCRACKER IN SPAIN

The ballet company held another tour from December 18–23, 2013, this time in Spain. Cities of León, Medina del Campo, Murcia, Terraza and Zaragoza saw performances of the two-act *The Nutcracker* by Pyotr Tchaikovsky. The Terraza performance program also included one-act ballets *Serenade* and *Sechs Tänze*, while prima ballerina Nina Ananiashvili danced *The Dying Swan* for the evening.

ბეირუთში (ლიბანი) ალ ბუსტანის 21-ე საერთაშორისო ფესტივალზე წელს მესამედ მონაწილეობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი, ხოლო პირველად ფესტივალის მაცურებლის წინაშე წარსდგა თეატრის საბალეტო დასი.

ფესტივალი 2014 წლის 18 თებერვალს თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრის კონცერტით გაიხსნა. შემდეგ ორკესტრი მსმენელთა წინაშე კიდევ ოთხჯერ წარსდგა საკმაოდ მრავალფეროვანი პროგრამით. აჟღერდა ჯოაკინო როსინის, კარლ მარია ვებერის, ლუდვიგ ვან ბეთოვენის, ფელიქს მენდელსონის, პეტრე ჩაიკოვსკის, ანტონინ დვორჟაკის, რიხარდ შტრაუსის, ნინო როტას, რობერტო მოლინელის ნაწარმოებები. ამ კონცერტებზე ჩვენმა ორკესტრმა დამოუკიდებელი სიმფონიური თხზულებების შესრულების გარდა, პარტნიორობა გაუწია სოლისტებს – პირველ ორ კონცერტზე მსოფლიო აღიარების მქონე ბანდონეონისტს მარიო სტეფანო პიეტროდარკის, შემდეგ ფრანგ მევიოლინეს ალექსანდრა სუმს, სოპრანო ჯოჰანი ფონ ოოსტრუმს, მევიოლინე სერჯეი კრილოვს.



ხუთივე კონცერტი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარმა დირიჟორმა და ალ ბუსტანის ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა ჯანლუკა მარჩანომ იდირიჟორა. საბალეტო დასი ფესტივალზე 15 და 16 მარტს გამოვიდა. მაცურებელმა იხილა სპექტაკლები „შოპენიანა“ და „მარგარიტა და არმანი“, სადაც მარგარიტას როლი პრიმა-ბალერინა ნინო ანანიასვილიმა, ბელარუსის დიდი თეატრის საბალეტო დასის წამყვან სოლისტთან იგორ არტამონოვთან ერთად, შეასრულა. გალა-კონცერტზე პრიმა-ბალერინამ კამილ სენ-სანსის „მომაკვდავი გედი“ იცეკვა. გასტროლი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდამჭერით გაიმართა.

**PARTICIPATING IN THE AL BUSTAN INTERNATIONAL FESTIVAL**

The 21st Al Bustan International Festival in Beirut, Lebanon, featured the Tbilisi Opera and Ballet Theatre Orchestra’s third appearance in the occasion, while the theatre’s ballet company performed for the festival audience for the first time.

The festival opened on February 18 with a concert by the Tbilisi theatre orchestra, which followed the evening up with four other diverse programs that included pieces by Gioachino Rossini, Carl Maria von Weber, Ludwig van Beethoven, Felix Mendelssohn, Pyotr Tchaikovsky, Antonin Dvorák, Richard Strauss, Nino Rota and Roberto Molinelli. Besides performing separate symphony pieces, the orchestra also partnered soloists – internationally recognized bandoneonist Mario Stefano Pietrodarchi for the first two concerts and French violinist Alexandra Soumm, soprano Johanni van Oostrum and violinist Sergei Krylov in the subsequent performances. The orchestra was conducted in all five concerts by Tbilisi Opera and Ballet State Theatre Leading Conductor and the Al Bustan Festival Artistic Director Gianluca Marciano. The ballet company was on stage on March 15 and 16 to perform *Chopiniana* and *Marguerite and Armand*, the latter featuring prima ballerina Nina Ananiashvili partnered by Belarus Opera and Ballet State Theatre Principal Igor Artamonov. The prima ballerina also danced *The Dying Swan* by Camille Saint-Saëns for the gala. The theatre’s tour to the festival was organized with the support of the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia.

ქართველი მოცეკვავეების გამარჯვება რიგაში



რიგის მეათე საერთაშორისო საბალეტო ფესტივალი „რიგის გაზაფხული“ ქართველი მოცეკვავეების გამარჯვებით დასრულდა. 18-26 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში თბილისის ბ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მოცეკვავეების მარიამ ელოშვილის და გიორგი მშენიერაძის გამოსვლა რამდენიმე პრიზით აღინიშნა. კლასიკური ცეკვის ნომინაციაში მათ მეორე პრემია დაიმსახურეს (პირველი პრემია არ გაცემულა), ხოლო თანამედროვე ცეკვაში კი – პირველი ადგილი. ქართველ მოცეკვავეებს ფესტივალის სპეციალური გრან-პრი „სვაროვსკის კრისტალი“ გადაეცათ. მარიამ ელოშვილი და გიორგი მშენიერაძემ რიგაში შეასრულეს „ლურჯი ფრინველის“ პა დე დე პ. ჩაიკოვსკის ბალეტიდან „მძინარე მზეთუნახავი“ და ადაჯიო საშა ევტიმოვას თანამედროვე ბალეტიდან „საიდუმლო ბაღი“. საკონკურსო პროგრამა მოცეკვავეებმა ირინე ჯანდიერის და უილიამ პრატის ხელმძღვანელობით მოამზადეს.

**VICTORY FOR GEORGIAN DANCERS IN RIGA**

The 10th annual ballet festival Riga Spring in Latvia concluded with a victory for Georgian dancers, with Tbilisi Zakaria Paliashvili Opera and Ballet State Theatre dancers Mariam Eloshvili and Giorgi Mshvenieradze awarded a number of prizes in the 18-26 age category. They received the Second Prize in the Classical Dance nomination (the First Prize was not awarded in the event) and the First Prize in the contemporary dance category. The two performers were awarded the special Swarovski Crystal Grand Prix. Eloshvili and Mshvenieradze danced the Bluebird pas de deux from *The Sleeping Beauty* by Pyotr Tchaikovsky and the adagio from contemporary ballet *The Secret Garden* by Sasha Evtimova. The two winners had prepared their contest program under the coaching of Irine Jandieri and William Pratt.

**ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეთა გამარჯვება**

2014 წლის 17-23 თებერვალს ბერლინში (გერმანია) მიმდინარეობდა საერთაშორისო ცეკვის ფესტივალი Tanzolymp 2014, რომელშიც ვ. ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეები: სალომე ლევერაშვილი, ქეთევან კობახიძე, ლანა გოგისვანიძე და ნინო ხახუტაშვილი მონაწილეობდნენ. ინდივიდუალურ ცეკვაში – სალომე ლევერაშვილმა მეორე ადგილი და დიპლომი დაიმსახურა, ხოლო ჯგუფურ ცეკვაში („ლაზური“ და „განდაგანა“) მოსწავლეებმა: სალომე ლევერაშვილმა, ქეთევან კობახიძემ, ლანა გოგისვანიძემ და ნინო ხახუტაშვილმა მე-4 ადგილი დაიმსახურეს და შესაბამისი დიპლომებით დაჯილდოვდნენ. ფესტივალზე მოსწავლეების მზადებას სასწავლებლის პედაგოგი ქალბატონი ლარისა ჩხიკვიშვილი ხელმძღვანელობდა.

**VICTORY FOR CHOREOGRAPHIC SCHOOL STUDENTS**

The Tanzolymp 2014 international dance festival – held February 17 to 23 in Berlin – featured the Vakhtang Chabukiani State School for Ballet Art students Salome Leverashvili, Ketevan Kobakhidze, Lana Gogisvanidze and Nino Khakhutashvili. Salome took second place and the diploma in the individual dance category, while she also joined the other three girls for the group dance (performing *the Lazuri* and *Gandagana* dances), for which they took the fourth spot and diplomas. The choreographic school teacher Larisa Chkhikvishvili oversaw preparations of the students for the festival.

ბერლინის ფესტივალის გამარჯვებულები: მარცხნიდან მარჯვნივ: ლანა გოგისვანიძე, სალომე ლევერაშვილი, პედაგოგი ლარისა ჩხიკვიშვილი, ვლადიმერ ვასილიევი, ნინო ანანიშვილი, ნინო ხახუტაშვილი, ქეთი კობახიძე  
WINNING THE BERLIN FESTIVAL. LEFT TO RIGHT: LANA GOGISVANIDZE, SALOME LEVERASHVILI, COACH LARISA CHKHIVISHVILI, VLADIMIR VASSILYEV, NINA ANANIASHVILI, NINO KHAKHUTASHVILI, KETI KOBAKHIDZE



**კრესკონფერენცია ბალანჩინის დაბადების დღეს**

საქართველოში ამერიკის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა და საბალეტო დასის ხელმძღვანელმა ნინო ანანიშვილმა 2014 წლის 22 იანვარს კლუბ „ფრონტლაინში“ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ჯორჯ ბალანჩინის 110 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებზე ისაუბრეს, რომელიც თბილისში 23 მაისს გაიმართება.

აშშ-ის ელჩი იმ პროგრამას შეეხო, რომელსაც საელჩო საიუბილეო წლის განმავლობაში საქართველოში განახორციელებს. მათ შორის იქნება ბალანჩინისადმი მიძღვნილი კალენდრის, ბალანჩინის შესახებ ელიზაბეთ კენდელის ახალი წიგნის ქართულად თარგმნისა და გამოცემის მხარდაჭერა, აგრეთვე ქორეოგრაფ ბარტ კუკის საქართველოში ვიზიტის დაფინანსება, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასთან ერთად, ბალანჩინის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ბალეტს „Concerto Barocco“-ს დადგამს.

**PRESS CONFERENCE ON BALANCHINE ANNIVERSARY**

The United States Ambassador Richard Norland and the Ballet Company Artistic Director Nina Ananiashvili spoke on January 22 at a press conference at the Frontline Club in Tbilisi on plans for celebrations for the 110th anniversary of the choreographer, set for May 23 in Tbilisi.

The ambassador revealed details of the program the embassy will be carrying out during the anniversary year in Georgia. The plans include releasing a special calendar and translating into Georgian and publishing a new Elizabeth Kendall book about Balanchine, as well as facilitating a visit of choreographer Bart Cook to Tbilisi for staging one of the important Balanchine ballets *Concerto Barocco* at the Tbilisi Opera and Ballet State Theatre Ballet Company.

## დასი

### The Company

#### დასის ახალი გაგმა

2014 წლის იანვრიდან საბალეტო დასის გაგმის მოვალეობის შემსრულებლად დასის მსახიობი კახა ანდრიაძე დაინიშნა.

#### NEW COMPANY MANAGER

Kakha Andriadze, a company artist, was appointed the new Acting Company Manager starting January 2014.

#### საღამო რუსთაველის თეატრში

19 მარტს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მსურებელს კიდევ ერთხელ მიეცა შესაძლებლობა ფრედერიკ ეშტონის ერთმოქმედებიანი ბალეტი „მარგარიტა და არმანი“ ნინო ანანიაშვილის შესრულებით ენახა. ამჯერად პრიმა-ბალერინას პარტნიორობას ბელარუსის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური ნაციონალური თეატრის წამყვანი სოლისტი იგორ არტამონოვი უწევდა. სპექტაკლში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი მონაწილეობდა, რომელსაც დავით მუქერია დირიჟორობდა. საღამოს პროგრამაში საბალეტო დასმა ასევე „შოპენიანა“ და კილიანის „Petite Mort“ წარმოადგინა.



#### EVENING AT THE RUSTAVELI THEATRE

On March 19 the audience was treated to another performance of Nina Ananiashvili in one-act

*Marguerite and Armand* by Frederick Ashton. The prima ballerina was partnered at the Rustaveli Theatre by the Belarus Opera and Ballet State Theatre Principal Igor Artamonov, while the performance also featured the Tbilisi Opera and Ballet Theatre Orchestra, conducted by David Mukeria. The company presented *Chopiniana* and Jiri Kylian's *Petite Mort* in the evening program.

#### „დონ კიხოტი“

26 და 27 აპრილს ლ. მინკუსის „დონ კიხოტი“ შედგა ნუცა ჩეკურაშვილის (ჩელიტა) და რიო კატოს (ბაზილი) დებიუტი. ამ სპექტაკლს სხვა როლების პირველი შემსრულებლებიც ყავდა: გამაში – გიორგი ბერიძე, ესპადა – უილიამ პრათი, დრიადების მბრძანებელი – ნინო სამადაშვილი, ვარიაცია – ვიკა კიკაბიძე.

#### DON QUIXOTE

Nutsa Chekurashvili (Kitri) and Ryo Kato (Basilio) debuted in *Don Quixote* by Ludwig Minkus on April 26 and 27. The shows also featured maiden appearances by Giorgi Beridze as Gamache and William Pratt as Espada, Queen of the Dryads – Nino Samadashvili.



#### „გედების ტბა“

4 და 6 აპრილს გრიბოედოვის თეატრში პ. ჩაიკოვსკის „გედების ტბა“ იქნა წარმოდგენილი. ნინო სამადაშვილს, რომელმაც ოდეტა-ოდილის პარტია პირველად იცეკვა, პარტნიორობას თათრეთის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის პრემიერი მიხეილ ტიმაევი უწევდა. მ. ტიმაევი პერმის საერთაშორისო საბალეტო კონკურსის „არაბესკის“ დიპლომანტია (2008), 2009 წელს მოსკოვის ბალეტის მოცეკვავეთა და ქორეოგრაფების საერთაშორისო კონკურსზე ბრინჯაოს მედალი და მესამე პრემია მოიპოვა. 2012 წ. მიიღო პრიზი „ცეკვის სული“ ნომინაციაში „ამომავალი ვარსკვლავი“. ამავე სპექტაკლში როტბარტის როლი პირველად შესასრულა უილიამ პრათმა. „გედების ტბაში“ შედგა მარიამ ელოშვილის და იუმიკო ფუკუდას დებიუტი პატარა გედების ცეკვაში. პირველი მოქმედების პა დეტრუაში დებიუტი ჰქონდათ ფილიპ ფედულოვს და იუმიკო ფუკუდას. ფილიპ ფედულოვს ნეაპოლიტანურ ცეკვაშიც პირველი გამოვლენა მოუწია. უნგრულ ცეკვაში პირველად გამოვიდა ირაკლი ჯელაძე. ესპანურში კი – ზურაბ დათუკიშვილი.

#### SWAN LAKE

On April 4 and 6 the Alexander Griboyedov Theatre in Tbilisi hosted a performance of *Swan Lake* by Pyotr Tchaikovsky. Nino Samadashvili, in her maiden *Odette-Odile* performance, was partnered by Tatar Opera and Ballet State Theatre Principal Mikhail Timaev, holder of the diploma of the 2008 International Ballet Contest Arabesque in Perm, winner of the Bronze Medal and the Third Prize of the 2009 International Contest of Ballet Dancers and Choreographers in Moscow, and recipient of the 2012 Soul of the Dance prize in the Rising Star nomination. William Pratt danced the Rothbart role for the first time, while Mariam Eloshvili and Yumiko Fukuda debuted in the Little Swans Dance. The act one pas de trois saw maiden performances by Philip Fedulov and Yumiko Fukuda. Fedulov also had his first appearance in the Neapolitan Dance. Irakli Jeladze danced the Hungarian Dance for the first time, while Zurab Datukishvili debuted in the Spanish Dance.